საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 164 (443) პარასკევი, 28 აგვისტო, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

აფხაზეთის ამბები

სოხუმი, 27 აგვისტო. საქინფორმის პრესცენტრიდან გია კორძაძე გვატყობინებს:

26 აგვისტოს საღამოს სოხუმის მიდამოებში საქართველოს გვარდიის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის მიერ განხორციელებული ოპერაცია წარმატებით დასრულდა. ტყვედ აყვანილია 37 აფხაზი და ჩეჩენი ბოევიკი.

ასევე წარმატებით დასრულდა გვარდიის ნაწილების შეტევა სოფელ კოლხიდასთან. მოწინააღმდეგემ უკან დაიხია ორი კილომეტრით.

ვითარება სოხუმში

— სოხუმს მთლიანად აკონტროლებს საქართველოს რესპუბლიკის ჯარები და აფხაზეთის პოლიციის ქვეგანაყოფები, — თქვა აფხაზეთის კონტრდაზვერვის უფროსმა ბესო მამუკელაშვილმა. — მხოლოდ სოხუმის ახალ რაიონში დარჩნენ აფხაზი სნაიპერები. ისინი მოქმედებენ გაშლილად, რაც აძნელებს მათს აყვანას.

გამოვლენილი და ლიკვიდირებულია ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულთა რამდენიმე 5-10 კაციანი ჯგუფი.

რკინიგზაზე პროვოკაციები არ წყდება

ტამიშ-აძიუბჟას რკინიგზის გადასარბენზე 26 აგვისტოს ღამით ბანდიტებმა ააფეთქეს 300 მეტრი რკინიგზის ლიანდაგი და საკონტაქტო ქსელის სამი საყრდენი.

სამტრედიის სადგურში კვლავინდებურად დგას ეშერაში გასაგზავნი ხორბლით დატვირთული 12 ვაგონი. რესპუბლიკის რკინიგზის სამმართველოს შემკეთებლები ყოველ ღონეს ხმარობენ საჭირო აღდგენით სამუშაოთა დროული განხორციელებისათვის.

ცნობა არ დადასტურდა

ქალაქ სოხუმის კომენდანტმა პოლიციის გენერალ-მაიორმა გიორგი გულუამ 27 აგვისტოს უარყო საქართველოს ტელევიზიით წინა დღით გადაცემული ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი მებრძოლის ცნობა იმის შესახებ, რომ სოხუმის რკინიგზის ვაგზალზე თავდასხმის დროს თავდამსხმელთა შორის თითქოს სომხეთის მოქალაქე ყოფილიყოს. უარყოფა დაადასტურა საქართველოში რუსეთის ტელევიზიის საკუთარმა კორესპონდენტმა კოკა ყანდიაშვილმაც, რომელმაც გაარკვია, რომ სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულთა შორის არ ყოფილა არც ერთი სომეხი, მით უმეტეს სომხეთის მოქალაქე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრი.

მოსკოვი (საქინფორმის კორ.). მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა ცნობა, თითქოს სახელმწიფო საბჭოს გვარდიელებს მოეკლათ აფხაზეთში ბერძენთა კულტურული საზოგადოების ლიდერი ანასტასიადი. საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის პრესცენტრმა, რომელიც იმოწმებს ავტონომიის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის“ ლიდერს თ. ნადარეიშვილს, განაცხადა, რომ ანასტასიადი სრულიად ჯანმრთელია და ამჟამად არც არის ამ საზოგადოების თავმჯდომარე.

ამ დღეებში

გვაწყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

გვფარავდეს მარიამ ღვთისმშობლის მადლი

28 (15) აგვისტო — მიძინება ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

მარიამობა უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც წმ. მარიამის მიძინების აღსანიშნავად იმართება.

IV საუკუნეში მარიამ ღვთისმშობელი ქრისტიანულმა ღვთისმეტყველებმა გამოაცხადა „ყველა წმიდად“, „მარად ქალწულად“, 431 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იგი ოფიციალურად გამოაცხადეს ღვთისმშობლად.

სახარებაში მოთხრობილია, რომ იგი იოსების მეუღლე იყო, უბიწოდ ჩაესახა და შვა იესო ქრისტე, დაესწრო მის ჯვარცმას.

ქრისტეს ჯვარცმიდან მეჩვიდმეტე წელს უდრტვინველად აღესრულა.

ქრისტემ ანგელოზებთან ერთად აღიტაცა მისი სული. ანთებული სანთლებითა და ფსალმუნთგალობით მოციქულებმა გეთსამანიის ბაღში განუსვენეს ყოვლად წმიდა მარიამის სხეული. დაკრძალეს მშობლებისა და მეუღლის — იოსების გვერდით.

მარიამის სული ზეცად აღამაღლა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ.

მარიამობის მადლი ფარავდეს სრულიად საქართველოს!

• • •

სურათზე: მარტვილის ღვთისმშობლის ხატი. 1640 წ.

მეგობრული და საქმიანი კონტაქტების მრავლისაღმთქმელი დასაწყისი

საუბარი ბანგლადეშის ელჩთან

27 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მუსტაფაზირ რახმანი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებასთან დაკავშირებით.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა იმედი, რომ საქართველოსა და ბანგლადეშს მჭიდრო თანამშრომლობა ექნებათ და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას უწოდა „საქართველოსა და ბანგლადეშის მეგობრული და საქმიანი კონტაქტების მრავლისაღმთქმელი დასაწყისი“.

ელჩის თხოვნით, მან დაახასიათა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, ილაპარაკა, თუ რა სიძნელეებს აწყდებიან დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სხთოვა გადასცეს ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს მიწვევა მისთვის ნებისმიერ მოსახერხებელ დროს ჩამოვიდეს საქართველოში.

ბატონმა მუსტაფაზირ რახმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქვეყნის მთავრობა ცხოველ ინტერესს იჩენს საქართველოსთან თანამშრომლობისადმი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას.

მან საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მეთაური ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელით მიიწვია ქვეყანაში, ჩავიდეს მისთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს. მიწვევას მადლობით დაეთანხმნენ.

საუბარს ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე.

საქართველო-ბანგლადეში:

მნიშვნელოვანი ნაბიჯი დაახლოების გზაზე

იმ ქვეყნების სიაში, რომლებმაც დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს საქართველოსთან, გაჩნდა კიდევ ერთი — ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა. 27 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა ორი სახელმწიფოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია. თავიანთ მთავრობათა სახელით აქტს საქართველოსა და ბანგლადეშის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ ხელი მოაწერეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მუსტაფაზირ რახმანმა.

შემდეგ გაიმართა ალექსანდრე ჩიკვაიძისა და მუსტაფაზირ რახმანის მეგობრული საუბარი, რომელშიც შეეხნენ ორივე მხარისთვის საინტერესო საკითხებს.

საქინფორმის კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში ბატონმა რახმანმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მისმა ქვეყანამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საქართველოსთან. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორ სახელმწიფოს შორის საფუძველი ეყრება მჭიდრო თანამშრომლობას, რომელიც ურთიერთხელსაყრელი კონტაქტების ფართო სპექტრს სახავს.

ბატონ რახმანის ვიზიტი საქართველოში ოთხ დღეს გასტანს.

საუბარი საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

გუშინწინ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების წარმომადგენელთა ჯგუფი, გლობალურ საკითხებში თავდაცვის მინისტრის მოადგილის დოქტორ რობერტ კ. ვოლთუისის მეთაურობით. მათ რესპუბლიკაში ჩამოიტანეს სამედიცინო მოწყობილობისა და მედიკამენტების მორიგი პარტია ათას საწოლზე გათვალისწინებული ჰოსპიტლისათვის, რომელსაც ამერიკელები მოაწყობენ თბილისის საავადმყოფოებში ჰუმანიტარული დახმარების ფარგლებში.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე გულთბილად მიესალმა სტუმრებს.

— გთხოვთ, დიდი მადლობა მოახსენოთ პირადად ჩემი და ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა სახელით, — თქვა მან, — ბატონებს ჩეინს, ბეიკერსა და, რა თქმა, უნდა, პირადად პრეზიდენტ ჯ. ბუშს. ამერიკის ყველა ადამიანს, რომლებიც ჩვენთან ერთად განიცდიან ჩვენს სიძნელეებს. ჩვენ ახალ სამყაროს ვაშენებთ, და ამერიკელ მეგობართა მხარდაჭერა გვმატებს ძალებს საქართველოში დემოკრატიის მშენებლობისათვის ბრძოლაში.

— ამერიკის ადმინისტრაცია და ყველა ამერიკელი, — ხაზგასმით აღნიშნა ბატონმა ვოლთუისმა,— დიდად გაფასებენ თქვენ, ბატონო შევარდნაძე, როგორც ცნობილ დიპლომატს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნად მშვიდობის დამყარების საქმეში.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

თბილისი „მშვიდობის დესპანია“ და არა „უბედურების ქალაქი“

ყველა თბილისელს შეიძლება არც ახსოვდეს 1987 წლის ოქტომბრის „თბილისობა“, რომლის დღესასწაულზეც გამოვაცხადეთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საქართველოს დედაქალაქი „მშვიდობის დესპანის“ დიპლომით დააჯილდოვა. ამ საპატიო ჯილდოს მიღებით თბილისი მსოფლიოს ისეთი 50 დიდი ქალაქის რიგებში ჩადგა, როგორიც არის ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, პარიზი, რომი, მადრიდი, ლონდონი, ჟენევა, მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი და სხვანი, რომელთა ისტორია, ყოფა და ცხოვრების წესი მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობას ასახავს, ამკვიდრებს და ავითარებს.

ეს უდიდესი ჯილდო თბილისს მომდევნო წელს საფრანგეთში გადმოსცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა ბატონმა პერეს დე კუელიარმა. იმხანად უმაღლეს ვადაში დიდი სიამაყის გრძნობით გაფორმდა იტალიის, ამერიკის, ინგლისის, ესპანეთის, საბერძნეთის დიდი ქალაქების დაძმობილების ხელშეკრულებანი „მშვიდობის დესპან“ ქალაქ თბილისთან. ეს ისეთი ხელშეკრულებანია, რომელთა შესრულებაც ჩვენი ქალაქის, მისი მრავალეროვანი მოსახლეობის უპირველესი მოვალეობა იყო და არის.

ვიხსენებ რა ყოველივე ამას, გული მტკივა, რომ გასულ ზამთარს თბილისში ძმათა შორის სისხლისღვრა მოხდა და სიმშვიდე დაირღვა, მაგრამ დღეს, როცა საყოველთაო ძალისხმევით ჩვენი ყოფა კვლავ ნორმალური თანაცხოვრების წესს უბრუნდება, როცა ჩვენი ქვეყანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა, როცა დემოკრატიული საზოგადოების აშენებას შევუდექით, გარეშე ძალები კვლავ ცდილობენ შფოთი და შიში დათესონ თბილისის მშვიდობიან მოსახლეობაში. მინდა შევუერთდე თბილისელთა უდიდეს აღშფოთებას იმის გამო, რომ ე. წ. კავკასიის მთიელთა კონფედერაციის თვითმარქვია ლიდერებმა ჩვენი დედაქალაქი „უბედურების ქალაქად“ გამოაცხადეს და ტერორისტული აქტებით დაემუქრნენ.

ასეთ დროს ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ და უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მუქარა არ გახლავთ იმიერკავკასიელთა საერთო გულის ძახილი, რადგან ჩვენს საყვარელ თბილისში სწავლობდა, ცოდნას იმაღლებდა და ვაჟკაცდებოდა ძალიან ბევრი მათი თანამემამულე. მჯერა, მათ ახსოვთ თბილისელთა თანადგომა და სტუმართმოყვარეობა და იმედია ამ საჭირო დროს უთუოდ გაიღვიძებს მათში ჩვენდამი მეგობრობის გრძნობა.

მოვუწოდებ თბილისელებს ჩვენი მშვიდობიანი საპროტესტო ხმა მივაწვდინოთ დაძმობილებულ ქალაქებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომ ეს გარეშე ძალების მოწოდება „მშვიდობის დესპანის“ დიპლომის მქონე ქალაქის მოსახლეობის ხელყოფის ცდაა და ამგვარი ცდები უნდა აღიკვეთოს.

იმედია, ამ მოძრაობაში მხარს დაგვიჭერს ჩვენი საზოგადოებრიობა.

ირაკლი ანდრიაძე,
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს საქმეთა მმართველი, ქ. თბილისის ყოფილი მერი

აქტუალური ინტერვიუ

ვალერი კვარაცხელია:

ცდილობენ, რომ კონფლიქტმა გლობალური ხასიათი მიიღოს

კვლავ შემაშფოთებელი ამბები მოდის აფხაზეთიდან. კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის დაქირავებული შეიარაღებული ბანდები უტევენ სუვერენული საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს. გაგრის, სოხუმის, რაიონებში გრძელდება მძიმე სისხლისმღვრელი ბრძოლები. არის მსხვერპლი ორივე მხრიდან. ანტიკონსტიტუციური, ანტისახელმწიფოებრივი კონფედერაციის უკანონო მოქმედება, სუვერენული საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა, სხვა არ არის რა, თუ არა სისხლის სამართლის დანაშაული და შეფასდა კიდეც ასე. თავგასული მთიელი ინტერვენტების ქმედება მთელი პროგრესული მსოფლიოს სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

თბილისში სიმშვიდეა. მრავალი მოხალისე ითხოვს აფხაზეთში გამგზავრებას და საკუთარი სისხლის ფასად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. ქუდზე კაცი გამოვალთ, გვწყდებით, მაგრამ ერთ გოჯ ქართულ მიწას არავის დავუთმობთ, — აცხადებენ ისინი.

მთელი დატვირთვით მუშაობს სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრი. საგულდაგულოდ მუშავდება, მოწმდება და საქართველოსა თუ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებს გადაეცემა აფხაზეთის თუ საქართველოს სხვა კუთხეების ცხელ-ცხელი ამბები. ვიხელთეთ დრო და გავესაუბრეთ სახელმწიფო საბჭოს პრესმდივანს ბატონ ვალერი კვარაცხელიას.

— ბატონო ვალერი, აფხაზეთში, სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე, უცხო, გარეშე ძალის ინტერვენციის ფაქტი აშკარაა. კონფედერაციამ „დაპირება“ შეგვისრულა. მთიელთა კონკრეტულად რომელი ხალხები ეთამაშებიან ამჟამად ცეცხლს აფხაზ [illegible] და როგორია მათი რიცხვი?

— სხვადასხვა ციფრს ასახელებენ. ისე, დაახლოებით ორი ათას კაცამდე იქნება, ძირითადად, ჩეჩნები და ადიღეები. ამბობენ, ისინი, კონფლიქტამდე კარგა ხნით ადრე, შემოვიდნენ და წვრთნასაც გადიოდნენო. მათ ქმედებას, ფაქტობრივად, საქართველოს ინტერვენციის ნიშნები აქვს. ცდილობენ, კონფლიქტმა გლობალური ხასიათი მიიღოს, სხვის ომში ჩაითრიონ რუსეთი და მთელი მსოფლიოც კი.

— რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების, პრადად, ბატონ ელცინის პოზიცია საქართველოს მიმართ საკმაოდ წინდახედული და დამაიმედებელია. თქვენ როგორ მიგაჩნიათ?

— პოზიცია, რომელიც პროგრესულ რუსეთს და, პირადად, ბატონ ელცინს უჭირავს, არის ძალიან სწორი პოზიცია. სხვათა შორის, ეს ის პოზიციაა, რომელსაც ადგანან დღეს საერთაშორისო ორგანიზაციები. მათ ბევრი რამ გადასინჯეს მცირერიცხოვან ერებთან, ეროვნულ უმცირესობებთან, მიდგომის საკითხში, ბევრიც ახლებურად გაიაზრეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნულ უმცირესობაში ყოფნა, თავისთავად სიმართლეს არ ნიშნავს. შეძლებთ რიცხობრივად პატარა ერი იყო, ეროვნულ უმცირესობაში იმყოფებოდე, მაგრამ არასწორად, უსამართლოდ იქცეოდე. სხვათა შორის, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ უმაღლესი დონის ჰელსინკის შეხვედრაზე დააყენა ეს საკითხი. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ევროპული პროცესი ჩამორჩა ცხოვრებას. საბჭოთა იმპერიის ნგრევის შედეგად თვითონ ცხოვრებამ მოითხოვა ახლებურად მიდგომა ამ საკითხისადმი. ბატონ ედუარდის ამ განცხადებას ბევრი მოწონებით შეხვდა.

— თუ სიტუაცია გამწვავდა, მოსალოდნელი ხომ არ არის ედუარდ შევარდნაძისა და ბორის ელცინის შეხვედრის გადადება?

— არა მგონია, გადაიდოს, თუ სიტუაცია გამწვავდა, მით უფრო, აუცილებელი იქნება, ეს შეხვედრა. ჯერ არ არის განსაზღვრული ამ შეხვედრის თარიღი, ადგილი, მაგრამ მისი მნიშვნელობა ძალიან დიდია.

— ბატონო ვალერი, საერთაშორისო ოფიციალური და საზოგადოებრივი აზრი ხომ არ იცვლება ჩვენს მიმართ?

— დღეს საზოგადოებრივი აზრი ჩვენს მხარეზეა, თუ არ გავითვალისწინებთ რუსულ რეაქციულ ძალებს, შავრაზმელებსა და ჟირინოვსკებს, ამ მხრივ, საქმე კარგად მიგვიდის. საერთაშორისო საზოგადოებრიობა სწორად და სწორად აფასებს საქართველოს პოზიციას, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი, საერთოდ, ძალიან სწრაფად ცვალებადია. თუ შეცდომას დავუშვებთ, ამას არავინ გვაპატიებს. ყოველი ნაბიჯი ათასჯერ უნდა გავზომოთ, ავწონოთ და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება.

— მოდით, ცოტათი თვითკრიტიკული ვიყოთ. ხომ არ დაუშვია ქართულ მხარეს აფხაზეთის მიმართ რაიმე შეცდომები?

— თვით კომუნისტური რეჟიმის დროსაც კი, აფხაზებს არავითარი შეზღუდვა არ ჰქონიათ. ყველაფერში ვუთმობდით. გახსოვთ, ალბათ, ბატონ ედუარდსაც აკრიტიკებდნენ, ძალიან ლოიალურად ეპყრობოდა. გამსახურდიას პერიოდშიც კი ისეთი საარჩევნო კანონი იქნა მიღებული, რომლის წყალობით, 17 პროცენტმა აფხაზმა პარლამენტში 28 მანდატი მიიღო, 45 პროცენტმა ქართველმა კი 26. ამიტომ ძნელია ქართული მხარის შეცდომებზე ლაპარაკი, თუ არ ჩავთვლით შეცდომად იმას, რომ თითქმის ყველა სურვილს ვუსრულებდით.

— დაახლოებით როგორ შეიძლება განვითარდეს ულტიმატუმისშემდგომი მოვლენები?

— ძნელია, რაიმე პროგნოზის გაკეთება. მაგრამ თუ ოდნავ მაინც ახლოს არიან გონიერებასთან, ვფიქრობ, უნდა შეწყვიტონ წინააღმდეგობა და შეასრულონ ულტიმატუმის მოთხოვნები. იქიდან ჯარს ვერ გამოვიყვანთ მანამ, სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება ჩვენი საზღვრების, რკინიგზების უსაფრთხოება. წარმოიდგინეთ, საქართველოს ბიუჯეტი სულ 26 მილიარდი მანეთია, რკინიგზის ტრანსპორტის მოცდენისა და მწყობრიდან გამოსვლისაგან მიყენებულმა ზარალმა კი უკვე 11 მილიარდი შეადგინა. ამას დაუმატეთ აფეთქებული ხიდები, დივერსიები...

— თუ სიტუაცია ძალიან გამწვავდა და გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა, შეიძლება ველოდეთ დახმარებას გარედან?

— გარედან? დარწმუნებული ვარ, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს გვერდით დადგება. ჩვენ ამ ვითარებაში ცამდე მართალი ვართ. საერთაშორისო ნორმების დარღვევას ჩვენგან ადგილი არ ჰქონია და, რაც მთავარია, არც ერთ შეიარაღებულ ქართველს სხვისი საზღვარი არ დაურღვევია.

— ბატონო ვალერი, საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადება ხომ არ არის მოსალოდნელი?

— როგორც იცით, სამობილიზაციო მზადყოფნა უკვე გამოცხადდა. მაგრამ იმედი მაქვს, საქმე აქამდე არ მივა. საერთოდ, თუ დაგვჭირდა, ყველამ იცოდეს, მთელი საქართველო ფეხზე დადგება.

— რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრესსამსახურის ცნობაზე დაყრდნობით გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს საქართველოს შეიარაღებული ძალები სამხარ მოქმედებებში ქიმიურ იარაღს იყენებენ...

— ეს, ალბათ, თავდაცვის მინისტრისთვის გამიზნული კითხვა უნდა იყოს. მაგრამ მე ვიცი, რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები არ იყენებენ ქიმიურ იარაღს, მათ, საერთოდ, არა აქვთ ასეთი იარაღი. რომ ჰქონდეთ, კიდეც, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვა აზრად ამის გაკეთება საკუთარ ქვეყანაში? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აფხაზეთში სულ 17 პროცენტი აფხაზი ცხოვრობს. ეს რუსეთის ტელევიზიის მორიგი დეზინფორმაციაა.

— ხომ არ შეცვლილა ბატონ ედუარდ შევარდნაძის ცნობილი პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში?

— არა. 26 აგვისტოს, მან ერთხელ კიდევ გააკეთა განცხადება აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მოწვევის აუცილებლობის შესახებ. თბილისში მოიწვია არძინბა, ამასთან, მისცა გარანტია, რომ უზრუნველყოფილი იქნება მისი უსაფრთხოება.

—ესე იგი, ოპტიმიზმის საფუძველი არის.

— ღმერთმა ნუ ქნას, საქართველოს ოპტიმიზმის საფუძველი არ ჰქონდეს.

ესაუბრა

ზაურ მაკარაძე.

P. S. ხანამ ინტერვიუ დასაბეჭდად მზადდებოდა, ცნობილი გახდა ედუარდ შევარდნაძისა და ბორის ელცინის შეხვედრის დრო და თარიღი. ისინი, კავკასიის მთიელი ხალხების წარმომადგენლებთან ერთად, 3 სექტემბერს, მოსკოვში შეხვდებიან ერთმანეთს.

ნომერში

- ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის მთავარი ძარღვი. 2-3
- თორმეტი ოლიმპიელი და რვა ოლიმპიური მედალი. 4

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის 323 დადგენილების გამოყენების წესის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის 323 დადგენილების თანახმად, საწარმოებს მიეცათ სხვადასხვა სახის სახელმწიფო გაერთიანებებიდან (კონცერნი, ასოციაცია, ტრესტი და ა. შ.) თავისუფლად გასვლის უფლება.

მონოპოლიური გაერთიანებებიდან საწარმოთა თავისუფლად გასვლის პროცესის მოწესრიგებისა და გამარტივების, ზემოაღნიშნული დადგენილების სწორად გამოყენების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის 323 დადგენილების გამოყენების წესის თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი

გ. ბერიძე.

თბილისი, 1992 წლის 26 აგვისტო.

„სამშობლოს არვის წავართმევთ“...

„საქართველოს თავისუფლებისათვის დაცემული ძმების სისხლს ვფიცავთ, რომ მტერს, შინაურსაც და გარეულსაც, ცეცხლითა და მახვილით დავხვდებით. იარაღით მოსულთ, ასევე მტრულად მოხსენეთ და მოლაყბეთ, ვისაც საქართველოს დაქუცმაცება მოუნდომებია, ერთნაირად გავუსწორდებით“ — ფიცით გაისმა საზოგადოება „თბილისელის“ მიმართვის ეს სიტყვები. იგი მიიღეს საზოგადოების საგანგებო შეკრებაზე, რომელიც გაიმართა 26 აგვისტოს ქადრაკის სასახლეში.

ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე ემუქრება. დადგა ჟამი ყოფნა-არყოფნისა. კავკასიის მთიელთა უკანონო კონფედერაციამ საქართველოს დედაქალაქი უბედურების ქალაქად გამოაცხადა. ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილმა დაქირავებულმა ბანდებმა კი ახალი სისხლისღვრა გააჩაღეს ჩვენს მიწა-წყალზე. ახლა, როგორც არასდროს, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს სამშობლოს დასაცავად. სწორედ ამიტომ, შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით პრაქტიკული საქმეების გადასაწყვეტად შეიკრიბნენ „თბილისელები“. საზოგადოების შეკრებაზე დღევანდელი ვითარების შესახებ ინფორმაცია გააკეთა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯაბა იოსელიანმა.

მერაბ ბერძენიშვილის ნადადებით საზოგადოების წევრებისაგან შეიქმნება მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც თბილისს დაიცავენ. წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა შეკრებილთ აუწყეს, რომ თავის მხრივ მატერიალურად დაეხმარებიან სამშობლოს სადარაჯოზე მყოფ მამულიშვილებს.

ნინო თათრულაიძე.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების 9 მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პარტიული სიების წარდგენის ვადის შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

9 მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქის (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა) პარტიული სიების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2 სექტემბრის 18 საათი.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ზესაშვილი.**

კომისიის მდივანი **ნუგზარ სხირტლაძე.**

1992 წლის 27 აგვისტო.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

27 აგვისტოს გამართულმა საქართველოს პარლამენტის არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიის სხდომამ 9 მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა) ცენტრალური საარჩევნო კომისიაში პარტიული სიების წარდგენის ვადად განსაზღვრა 1992 წლის 2 სექტემბერი, 18 საათი.

სხდომაზე ცხარე კამათი გამოიწვია არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობის წესის განხილვამ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შესწორებებითა და დამატებებით მიიღო ამ რეგლამენტის ნაწილი. სრულად რეგლამენტს შემდეგ სხდომაზე დაამტკიცებენ.

განიხილეს აგრეთვე არჩევნების კამპანიასთან დაკავშირებული სამეურნეო საკითხი, მოისმინეს ინფორმაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოსული პარტიული სიების შემოწმების მიმდინარეობის შესახებ.

კარიკატურისტის კომენტარი



მიდი, მერცხალო ჩიტო, მიდი, ნავთი გვაქვს, აბა, რატომ არ უნდა დავასხათ ცეცხლზე?!
აფხაზეთი
გროზნო
საქართველო

მხატვარი თაზ აბაშიძე.

პური არის, მაგრამ მისი მარაგი უნდა გავზარდოთ

როგორია ახლა ხორბლის რეალური მარაგი რესპუბლიკაში? გვეყოფა თუ არა პური სექტემბერში? ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებს პასუხი გასცა სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რესპუბლიკური კომისიის მორიგმა სხდომამ.

აღინიშნა, რომ ახლა რესპუბლიკაში ფაქტობრივად 23 ათასი ტონა ხორბალია. სექტემბრის დამდეგამდე საქართველოს მინდვრებიდან უნდა აიღონ კიდევ ათი ათასი ტონა, შემდეგ თურქეთიდან მივიღებთ ჰუმანიტარული დახმარების დარჩენილ ხუთი ათას ტონა მარცვლეულს. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, ჩვენთან ჩამოვიდნენ ამერიკელი ოფიციალური პირები, რათა დააზუსტონ ოკეანის გაღმიდან საქართველოსთვის 100 ათასი ტონა ხორბლის მომავალი ტრანსპორტირების ყველა დეტალი.

კომისიამ კონკრეტული დავალებანი მისცა შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს გაზარდონ სურსათის მიწოდება აფხაზეთის ზონაში, უზრუნველყონ მიმდინარე წლის მარცვლეულის მოსავლის უდანაკარგოდ აღება, იზრუნონ მისი დაცვა-შენახვისათვის. გამოძებნილია კახეთის რაიონებში ბენზინის გაგზავნის, გაჩერებული წისქვილკომბინატების მუშაობის განახლების, რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთის უფრო რიტმული მიწოდების შესაძლებლობანი. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ წელს 80 ათასამდე ტონა საკუთარი მარცვლეულის დამზადების რეალური შესაძლებლობა გვაქვს.

სხდომაზე განიხილეს კარტოფილის და ბოსტნეულის მიწოდების სრულყოფის საკითხები. უკანასკნელ ხანს იგი რამდენადმე გაუარესდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივ ავტოტრანსპორტს ბოლნისის რაიონიდან პროდუქტების გამოსატანად საწვავი არ ჰყოფნის, აგრეთვე ის, რომ მწარმოებლებთან ანგარიში ვერ გასწორებიათ ნაღდი ფულის უქონლობის გამო.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ოთარ ქვილითაია და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი პაატა კოღუაშვილი.

მილოცვა მარიამ ლორთქიფანიძეს

დღეს 28 აგვისტოს — მარიამ ღვთისმშობლის დღეს, 70 წელი უსრულდება გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ღირსეულ მამულიშვილს, ისტორიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს მარიამ დავითის ძე ლორთქიფანიძეს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ულოცავს ქალბატონ მარიამს მარიამ ღვთისმშობლის დღეს, დაბადების დღეს და უსურვებს ბედნიერებას, შემოქმედებით სიხარულს თავისი სანუკვარი საქართველოს შემდგომ აღმავლობას.

ჭამა ქონებაზე ჰკიდია, ქონება — მუხლჩაუხრელ შრომაზე!



„კრწანისული" რძე

ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო და სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკები თავიანთ სასწავლო-საექსპერიმენტო მეურნეობაში — „კრწანისში". აქვე ეწევიან პრაქტიკულ მუშაობას სტუდენტებთან. ისინი საკუთარი ხელით ქმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი ეწვია მეურნეობის მეცხოველეობის ფერმას. აქ მოზარდეულთან ერთად 1600 სულზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავთ. თითოეული მეცხოველე ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს კვების პროდუქტების სიუხვის შექმნაში და ამით დაეხმაროს რესპუბლიკას რაც შეიძლება სწრაფად დააღწიოს თავი ეკონომიკურ კრიზისს.

ფერმის მშრომელთა მიერ მიღებულ რძეს რეგულარულად აგზავნიან გარდაბნის ყველკარაქის ქარხანაში.

სურათებზე: მეცხოველეობის ფერმაში.

გონდო დვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საზრისი

დომენტი მოურავიძე.

ნაბიჯი ორპალატიანი პარლამენტისა და სამოქალაქო თანხმობისაკენ

შემთხვევითი არ არის, რომ პარლამენტის არჩევნების ახლა უკვე ძველი დებულება ივლისის ბოლოს კვლავ დისკუსიის საგანი გახდა. ამ დებულებას ბევრი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, თავის დროზე იგი ფართო საზოგადოებრიობისათვის სერიოზული მსჯელობის საგნად ვერ იქცა, ნაჩქარევად იქნა მიღებული. დანართი № 2 კი მხოლოდ ივლისის შუა რიცხვებში გამოქვეყნდა, რომელმაც ხმების მიცემის, დათვლისა და გადაცემის სირთულისა და აბსურდულობის მხრივ თავისებური რეკორდი დაამყარა. იგი დემოკრატიისა და ლეგიტიმურობის ფარგლებს გვარიანად სცილდებოდა.

ისიც ლოგიკურია, რომ არჩევნების მონაწილე ბევრი პარტია დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების წინ შეფიქრიანდა. გასაგებია, ყველა პარტია და მათი ლიდერები როდი არიან საკუთარი პოპულარობის ილუზიის ტყვეობაში. თითები საკმარისია იმისათვის, რომ მეტნაკლებად ცნობილი პარტიები ჩამოითვალოს, დანარჩენებს კი ხალხი, საზოგადოება არ იცნობს. ამიტომ ძნელია იმის იმედი ჰქონდეთ, რომ ამომრჩეველი ქვეყნის ბედს მათ მიანდობს. ის კი არა, ვფიქრობ, ბევრი პარტიის ზოგი ღირსეული კანდიდატიც შეიძლება დაზარალდეს არჩევნებში, რადგან თვით მათი წამომყენებელი პარტიები ჯერ კიდევ უცნობია. გამოჩნდა იმის აშკარა სიმპტომებიც, რომ დამოუკიდებელი კანდიდატები და მათი ბლოკი შეიძლება პოპულარული გახდნენ არჩევნებში.

პარტიათა სიმრავლის გამო ხალხს არჩევანი გაუჭირდება. ამიტომ შესაძლოა ხმებისა და მანდატების აბსოლუტური უმრავლესობა წვრილ-წვრილი პარტიების ხელში აღმოჩნდეს. მაშასადამე, შეიძლება წვრილფრაქციული პარლამენტი მივიღოთ, რომელიც ახლანდელი ისტორიული პირობების გამო უხერხემლო და ქმედუუნარო იქნება.

ჩემი ღრმა რწმენით, მაინც არ უნდა იყოს სწორი, რომ არჩევნების ახალი დებულებითაც ადგილობრივ კანდიდატს 500 მხარდამჭერის ხელმოწერა სჭირდება წამოყენებისათვის, მაშინ როდესაც პარტიის რეგისტრაციისათვის და, მაშასადამე, ყველა 150 მანდატზე კანდიდატის წამოყენების უფლებისათვის საკმარისია 100-ზე მეტი წევრის არსებობა პარტიაში. ეს ნორმატივები სამართლებრივად უსაფუძვლოა. ამის შესახებ პრესაში უკვე გამოითქვა აზრი და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. იმას კი ვიტყვი, რომ სავსებით სწორი იქნებოდა, ყოველ პარტიას მხოლოდ იმდენი კანდიდატის წამოყენების უფლება ჰქონდეს, რამდენიც მას მოუწევდა წევრთა საერთო რიცხვის გაყოფით ერთი ადგილობრივი დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერთა ნორმატივებზე.

რაც შეეხება ათი გამსხვილებული საარჩევნო ოლქის დაწესებას ძირითადად საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიულ-ეკონომიკური პრინციპების მიხედვით, ვშიშობ, რომ იგი ვერ გაამართლებს. ამან შეიძლება უკვე პარლამენტის დონეზე გამოიწვიოს საქართველოს ერთგვარი ტერიტორიული გათიშვა ფეოდალური დროის შინაარსის მიხედვით და სულაც არ შეუწყოს ხელი ეროვნულ და სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას. მიმაჩნია, რომ ასეთ მიდგომაზე გადაჭრით უნდა გვეთქვა უარი, რითაც თავს დავაღწევდით კუთხური სეპარატიზმის ტენდენციებს, მათი გაძლიერებისა და გაღრმავების შესაძლებლობებს.

ჩემთვის გასაგებია, რომ ასეთი გადაწყვეტილება საქართველოს ისტორიულ-რეგიონული თავისებურებებით არის ნაკარნახევი. რეგიონული ინტერესების წარმოდგენა პარლამენტში აუცილებელია, მაგრამ ამისათვის სხვა გზაც არსებობს. ამ მხრივ, სავსებით სწორად მიმაჩნია, რომ რესპუბლიკის ამჟამად არსებულ ყველა ადმინისტრაციულ რაიონს (მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად) და ქალაქს თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს პარლამენტში. არჩევნებში ყველას, ვისაც სურს, შეუძლია წარმოადგინოს თავისი კანდიდატები რეგიონების მიხედვით. ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. რესპუბლიკის მართვა რეგიონების მიხედვით, რეგიონთა ინტერესების (მათ შორის, ეროვნულისაც) რეგულირება ტერიტორიული პრინციპების საფუძველზე საკმაოდ მდიდარ ძველ თუ ახალ ტრადიციებს ემყარება.

ვფიქრობ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ერთი წინადადება, რომელიც როგორც დეპუტატობის ყოფილმა კანდიდატმა წამოვაყენე 1990 წლის ოქტომბრის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, სახელდობრ, ის, რომ მიზანშეწონილად მიმაჩნდა და მიმაჩნია გვქონდეს ორპალატიანი პარლამენტი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რესპუბლიკური პალატა და რეგიონული პალატა, ამასთან ყველა ადმინისტრაციულ რაიონს ეყოლება თითო დეპუტატი მოსახლეობის რიცხვისაგან დამოუკიდებლად, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ ავტონომიურ წარმონაქმნებს (მათ შორის კულტურულს) და დიდ ქალაქებს, რომელთაც არა აქვთ ადმინისტრაციული დაყოფა, გამოეყოს დამატებითი მანდატები. მჯერა, რომ რეგიონების წარმომადგენელთა პალატა პოლიტიკური მეთოდებით, დემოკრატიულ საწყისებზე გადაჭრიდა სახელმწიფოს მართვის ძირითად რეგიონულ, მათ შორის ეთნიკურ-ეროვნულ პრობლემებს. რეგიონული პრობლემები ამ გზით უფრო ეფექტიანად და შედარებით უმტკივნეულოდ შეიძლება გადაიჭრათ საერთო-რესპუბლიკური ინტერესებისა და დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიული საწყისების შეუზღუდავად დაუქვემდებაროთ რეგიონების სახელმწიფოებრივი მართვა ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას. რაც შეეხება რესპუბლიკურ პალატას, მისი საზრუნავი იქნებოდა საერთო-სახელმწიფოებრივი განვითარება, საგარეო ურთიერთობანი, თავდაცვა, უშიშროება, მეცნიერება, კულტურა და ა. შ.

რა თქმა უნდა, ახლანდელი არჩევნების დებულებაში აღნიშნული რადიკალური ცვლილება გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ის, რომ დაწესდა რეგიონების წარმომადგენელთა ადგილობრივი დეპუტატების ინსტიტუტი, ორპალატიანი პარლამენტისაკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად მიმაჩნია. ღრმად მწამს, რომ აღნიშნული ტიპის ორპალატიან პარლამენტზე გულდასმით ფიქრი სამომავლოდ უეჭველად სასარგებლო იქნება. ორპალატიანი პარლამენტი მსოფლიოს მრავალ ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს და პრაქტიკულად შემოწმებული პოლიტიკური ინსტრუმენტია ქვეყნის მართვისათვის. საქართველო უამრავი რეგიონული თავისებურებების (გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული, სოციალური, ეთნიკურ-ეროვნული) ქვეყანაა და ამიტომ რეგიონების წარმომადგენელთა პალატის დაწესებას ჩვენი რთული პირობების გათვალისწინებით საჭირო საქმედ ვთვლი.

დასასრულ ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ მომავალ არჩევნებში დამოუკიდებელი ადგილობრივი დეპუტატების არჩევა ერთგვარად შეარბილებს პარტიულ საწყისს პარლამენტში, რაც, ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს პროფესიული და ლეგიტიმური წარმომადგენლობის გაძლიერებას პარლამენტში. საქართველოს საზოგადოებრივი და ისტორიული სინამდვილე წმინდა მრავალპარტიული არჩევნებისათვის ჯერ მზად მაინც არ არის. ეს რეალობაა და იგი ყველამ უნდა გაითვალისწინოს. პარტიების დიდი უმრავლესობა, კაცმა რომ თქვას, ჯერ თვითონ არ არის ლეგიტიმური, ზოგი მათგანი ხომ არსებითად არჩევნებში მონაწილეობის მიზნით წარმოიშვა. ნურავინ მიწყენს, მაგრამ პარტიების ნაწილმა ჯერჯერობით ვერ მოასწრო თავი გამოეჩინა რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, თავად არიან ჩამოყალიბებისა და ქმნადობის პროცესში.

ფაქტია, რომ შედარებით დიდი და მცირე პარტიების სიმრავლეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ერი, საზოგადოება, გაიხლიჩა, წვრილ-წვრილ დაპირისპირებულ ჯგუფებად დანაწევრდა. ამიტომ შეუძლებელი ხდება სოციალურ-ეროვნული თანხმობისა და სახალხო კონსოლიდაციის მიღწევა. საზოგადოების დიდმა ნაწილმა ეს უკვე გაიცნობიერა და პარტიებისადმი ინტერესი დაკარგა. თავისი პოლიტიკური აქტივობის გამოვლენისათვის დამოუკიდებელ, არაპარტიულ გზებსა და მეთოდებს ამჯობინებს. პარტიებში, რამდენიმეს გამოკლებით, ფაქტობრივად აღარავინ შედის და როგორც ვიცი, პარტიები, ბევრმა მიატოვა. სამწუხაროდ, საზოგადოებისათვის უცნობია ასეთი ინფორმაცია. პარტიები რატომღაც გულმოდგინებას არ იჩენენ თავისი წევრთა მოძრაობის სტატისტიკის საჯაროობისთვის. საჭირო კია ასეთი ინფორმაცია.

აღნიშნული სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ფონზე ძნელია დაეთანხმო იმ აზრს, რომ ვისაც რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა სურს, პოლიტიკურად აქტიურია, ის უსათუოდ რომელიმე პარტიის წევრი უნდა იყოს, პარტიის მეშვეობით უნდა ახდენდეს თავისი პოლიტიკურ-სოციალური პოტენციალის რეალიზაციას. ასეთი მტკიცებისათვის არგუმენტებად მსოფლიოს ცივილიზებული დემოკრატიული ქვეყნების მაგალითებს იშველიებენ, სადაც არჩევნებში გამარჯვებული პარტიები მართავენ ქვეყანას. მაგრამ ასეთი პირდაპირი პარალელები, თუ შედარებები ჩვენი, საქართველოს კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად, გაუმართლებლად მიმაჩნია. ვიყოთ ობიექტურნი. განა ჩვენ მართლა მრავალი შინაარსის მქონე მრავალპარტიული სისტემა გაგვაჩნია? განა ისეთი სიდიდის ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, 48 პარტიის მონაწილეობა არჩევნებში ნორმალურია და რაიმე სიკეთეს უნდა მოველოდეთ ამისგან, ნეტავ 10-15 პარტია მაინც არ იქნებოდა საკმარისი? ვიყოთ თანამიმდევრულნი: ყოველთვის ყველაზე მოწინავე ქვეყნებთან შედარებით (ეს რომ ვემბებით და ვაწვდით ხელებს, აქაც შევადაროთ იმავე ინგლისს, აშშ-ს, გერმანიას, საფრანგეთს, იაპონიას, ფინეთს... განა ისეთი რა განსხვავებული მიზნები და ამოცანები დგას დღეს საქართველოს წინაშე, რომ მათი განხორციელების 48 განსხვავებული მეთოდი და გზაა საჭირო? ამიტომ ის, ვინც ამტკიცებს, რომ პოლიტიკურად აქტიური პიროვნება მხოლოდ პარტიებში შეიძლება იყოს, თვითკრიტიკული უნდა იყოს და ჰკითხოს თავის თავს: რატომ ჰქმნის იგი მაინცდამაინც თავის პარტიას, რატომ ვერ შეძლო თავისი იდეებით და საქმეებით უკვე არსებულ 20 პარტიაში მაინც მოთავსებულიყო?!

აღნიშნულთან დაკავშირებით მინდა ასეთი საკითხიც დავაყენო: დეპუტატობის კანდიდატების დასახელებამდე, და მით უმეტეს, არჩევნების ჩატარებამდე, ჩემი აზრით, საჭიროა საჯაროდ გამოქვეყნდეს ზუსტი ინფორმაცია არჩევნების მონაწილე თითოეული პარტიის წევრთა საერთო რაოდენობის შესახებ. რა თქმა უნდა, მხოლოდ წევრთა რაოდენობის მიხედვით არ ივარგებდა ამა თუ იმ პარტიის ღირსებებზე გვემსჯელა, მაგრამ წევრთა რაოდენობის მნიშვნელობის უგულებელყოფაც არ იქნებოდა სწორი. ამომრჩეველს, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს აღნიშნული ინფორმაცია, მაგრამ გაუწევს თუ არა მას ანგარიშს, ეს მისი საქმეა. პარტიები თვითონაც არ უნდა მოერიდონ იმას, რომ საზოგადოებას აუწყონ თავის რიგებში მყოფ წევრთა რაოდენობა, მით უმეტეს, რომ ახლა ამის გარშემო საკმაო მითქმა-მოთქმაა.

თუ პარტიები და მათი ლიდერები კვლავ პარტიულ ამბიციებს არ გადააჭარბებიან, ობიექტურ ნიადაგზე დადგებიან, სახელმწიფოებრივ მიდგომას გამოიჩენენ, მაშინ მათ რეალურად, საქმით უნდა შეუწყონ ხელი არჩევნების ფართო დემოკრატიულ საწყისებზე ჩატარებას. პარლამენტში მხოლოდ შესაფერისი დეპუტატების წარგზავნით უნდა შეეცადონ ისინი, რომ დაძლიონ პარტიული სეპარატიზმის მიდრეკილება სახელმწიფო საქმეებში. კერძოდ, სასურველია არჩევნებში არ დაუშვან დამოუკიდებელი ადგილობრივი კანდიდატების ინსტიტუტის შეზღუდვები ყველა რეგიონში აშკარად თუ ფარულად საკუთარი კანდიდატების წამოყენებით. ეს არჩევნები დემოკრატიული საწყისების შინაარსის, საბოლოოდ კი პარლამენტის პროფესიულ და ინტელექტუალურ გაღარიბებას გამოიწვევდა. ვფიქრობ, ამ საფუძველზე შესაძლებელი გახდება წინასაარჩევნო კამპანია გავხადოთ ლოიალური. შევარბილოთ შესაძლო დაპირისპირება პარტიების მიერ წამოყენებულ და დამოუკიდებელ ადგილობრივ უპარტიო კანდიდატებს შორის.

ეს, თავის მხრივ, გადაიქცეოდა სამოქალაქო თანხმობის, სახალხო კონსოლიდაციის დამატებით წყაროდ. რაც შეეხება ე. წ. ადგილობრივი მაფიის საშიშროებას მომავალი პარლამენტისათვის დამოუკიდებელი ადგილობრივი დეპუტატების სახით, ეს არსებითად უსაფუძვლო არგუმენტია. მაფიოზური პროცესები სამართლებრივად და კანონიერების მტკიცედ დაცვის საფუძველზე უნდა დარეგულირდეს და არა იმით, რომ არჩევნებში რაიმე შეზღუდვები იქნეს გამოყენებული.

ასეა თუ ისე, არჩევნები უკვე კარს მოგვადგა. საქართველოში სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისათვის, ლეგიტიმური ხელისუფლების არსებობისათვის აუცილებელია პარლამენტის არჩევნების ჩატარება. ახალი პარლამენტი პოლიტიკური კრიზისის დაძლევისა და საზოგადოებრივი სტაბილურობის მიღწევის ერთადერთი საშუალებაა. დემოკრატიულად არჩეული პროფესიულად კომპეტენტური ხელისუფლება ამავე დროს ეკონომიკური და სოციალური აღორძინების მთავარი ფაქტორია. ამიტომ რესპუბლიკის მომავალი პარლამენტის მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების მოწყობა, საქართველოს ყველა მოქალაქის აქტიური მონაწილეობა მასში უმნიშვნელოვანესი ისტორიული და ეროვნული მოვლენა იქნება ახალი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

ყველას თავისი აზრი აქვს

აუცილებელია გაწონასწორებული ეროვნული პოლიტიკა

თედო პაატაშვილი.

დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ქართული ოფიციალური პოლიტიკის ძირითადი კურსი რადიკალურად შეიცვალა, რაც მოსალოდნელიც იყო ძალისმიერი მეთოდებით ხელისუფლებათა ცვლის შემდეგ, მაგრამ, ალბათ ქართველის მაქსიმალისტური ბუნებიდან გამომდინარე, ერთი უკიდურესობიდან მეორისაკენ მივექანებით, რაც არანაკლებ დამღუპველი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე პრეზიდენტის პოლიტიკური კურსი.

პრეზიდენტის მკვეთრ ეროვნულ პოლიტიკაში თანდათან იმძლავრა ადამიანის უფლებათა, საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპთა, სწრაფი ეკონომიკური რეფორმის აუცილებლობის და ზოგადად ოპოზიციური აზრის უგულებელყოფის ტენდენციამ. ბოლოს ამ პოლიტიკურ კურსს „სახელმწიფო კაპიტალიზმისა" და კონვერგენციის თეორიის რეკლამირებაც დაემატა, რამაც კიდევ უფრო გამოკვეთა ხსენებული კურსის ნაციონალ-სოციალისტური ელემენტები, თუმცა ძველ რეჟიმს ფაშიზმამდე, როგორც მას დღეს ხშირად უწოდებენ, ძალზე ბევრი რამ აკლდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წიაღიდან ამოზრდილმა ძველმა ხელისუფლებამ, პარლამენტური გზით ძალაუფლების მოპოვების პირველ ეტაპზე თავბრუდამხვევ წარმატებას მიაღწია. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მას ეროვნულ ხელისუფლებად აღიქვამდა და ამიტომ მისმა კრახმა უაღრესად მნიშვნელოვან ეროვნულ-განმათავისუფლებელ და ზოგადეროვნულ პოლიტიკურ იდეათა საშინელი დევალვაცია გამოიწვია. სწორედ ეს არის ყოფილი ხელისუფლების უდიდესი დანაშაული ერისა და ქვეყნის წინაშე საქართველოსათვის საბედისწერო ისტორიულ მომენტში — მაშინ, როცა თითქმის სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობისა და კულტურული ისტორიის მქონე ქვეყანამ, სახელმწიფოებრიობის ორსაუკუნოვანი წყვეტის შემდეგ, იწყო ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება მსოფლიოს ურთულეს და უმნიშვნელოვანეს რეგიონში. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ საქართველომ შეძლოს საკუთარი ადგილის დამკვიდრება გლობალური დაპირისპირების სასაზღვრო რეგიონში, თუ ის უახლოეს ხანში არ ჩამოყალიბდა ეროვნულ სახელმწიფოდ და სახელმწიფო პოლიტიკაში წინ არ წამოსწია ქართული ცნობიერებისათვის დამახასიათებელი დადებითი თვისებები (მადლობა ღმერთს, ასეთი თვისებები საკმაოდ ბევრია).

ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის გაწონასწორებული საშინაო პოლიტიკით იწყება. ამგვარი საშინაო პოლიტიკის განხორციელება, რა თქმა უნდა, ძნელია, ძმათა სისხლისღვრის შემდეგ, მაგრამ თუ ამას ვერ მივაღწიეთ, გარდაუვალია წარუმატებლობანი საგარეო პოლიტიკაშიც, რადგან რაგინდ სახელოვანი და ავტორიტეტული პოლიტიკოსიც უნდა იდგეს ქვეყნის სათავეში, სხვა სახელმწიფოები აღარ მოისურვებენ სერიოზულ ურთიერთობას იმ ქვეყანასთან, რომელსაც შინაგანი სტაბილურობისათვის ვერ მიუღწევია.

უნდა მოიძებნოს ის მთავარი ძარღვი, რომელიც ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკას გაამთლიანებს — ასეთი რამ კი საქართველოს ეროვნული ინტერესებია. ჩვენ არ უნდა გვრცხვენოდეს იმის აღიარება, რომ საქართველო, უპირველეს ყოვლისა, ქართველთა ქვეყანაა, ისევე, როგორც გერმანია — გერმანელებისა, იტალია — იტალიელებისა და საფრანგეთი — ფრანგებისა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში რაიმე ფორმით ილახებოდეს არაქართული მოსახლეობის ინტერესები, მაგრამ საკუთარ ქვეყანაში მკვიდრი ერის ინტერესების შებღალვა ყოვლად დაუშვებელი უსამართლობაა, თუ ინგლისის, გერმანიის ან საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს მძლავრი სახელმწიფოებრივი მექანიზმები იცავს, საქართველოს ეროვნულ ინტერესთა დამცველი დღეს მხოლოდ ქართველი ერისა და საქართველოს მთელი მოსახლეობის ერთიანი ნებაა, რომელიც უნდა შეიკრას და იმართოს სწორედ გაწონასწორებული ეროვნული პოლიტიკით. ამგვარმა პოლიტიკამ, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში ეროვნული და სახელმწიფო ინტერესთა დამცველი ინსტიტუტების შექმნა-დამკვიდრებას. ჩვენი ქვეყანა უნდა ჩამოყალიბდეს სამართლებრივ სახელმწიფოდ, სადაც კონსტიტუციითა და კანონის უზენაესობით დაცული იქნება ყველა ეროვნებისა და აღმსარებლობის მოქალაქეთა უფლებები. ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ზოგადეროვნული პოლიტიკური იდეების უკიდურესი დევალვაციის ტალღას მოყოლილმა დროებითმა ხელისუფლებამ უპირველეს მოწინააღმდეგედ, არცთუ უსაფუძვლოდ, ყოფილი ხელისუფლება და მისი მომხრეები მიიჩნია და საკუთარი პოლიტიკის ძირითადი სტრატეგია სწორედ ამ განწყობილებას დაუქვემდებარა. ამავე განწყობილებათა გამო სრულიად უგულებელყოფილ იქნა ის მართლაც მნიშვნელოვანი მიღწევები, რომელიც ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და 28 ოქტომბერს არჩეულმა ეროვნულმა ხელისუფლებამ მოიპოვა. სამწუხაროდ, საქმეს ვერ უშველა ვერც მწერალთა კავშირში გამართულ შეხვედრაზე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ უკანასკნელ წლებში მსოფლიოში მომხდარი პოზიტიური ცვლილებები დიდწილად ორმა მძლავრმა ურთიერთშემხვედრმა პოლიტიკურმა ტენდენციამ განაპირობა — საბჭოთა კავშირში დაწყებულმა „პერესტროიკამ" და რესპუბლიკებში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობებმა (სწორედ ამ გამოსვლის წინ პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართია-91"-ის გამგეობის წევრებს ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან გვქონდა შეხვედრა, რომლის დროსაც მას ამ მიმართულებით რამდენიმე კითხვა დავუსვით და ვთხოვეთ საჯაროდ გაეცა პასუხი). ჩვენის მხრივ, დავუმატებდით, რომ „პერესტროიკის" პროცესში დიდი როლი შეასრულეს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობებმა ყოფილ საბჭოთა თუ აღმოსავლეთ ევროპის რესპუბლიკებში, მათ შორის კი ამ მოძრაობათა ერთ-ერთმა ფლაგმანმა — ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელმაც „პერესტროიკის" დაწყების შემდეგ პირველმა გაიღო თავისუფლებისათვის მებრძოლ მამულიშვილთა სისხლი.

უმძიმეს დანაშაულებრივ შეცდომებთან ერთად, რომელთაც განსაკუთრებული სიმძაფრით სწორედ ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქციები ვამხელდით და ვაკრიტიკებდით, 28 ოქტომბერს არჩეულ ხელისუფლებას ბევრი მნიშვნელოვანი ზოგადსახელმწიფოებრივი მიღწევაც ჰქონდა (სხვათა შორის, ამ ხელისუფლების შემადგენლობაში სახელმწიფო საბჭოსა და დღევანდელი მთავრობის მრავალი წევრიც შედიოდა). მაგალითად, პირველი მრავალპარტიული არჩევნები ყოფილ სსრ კავშირში, 31 მარტის რეფერენდუმი, რომელსაც აშშ კონგრესიც კი სპეციალური 102-ე რეზოლუციით გამოეხმაურა, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, პრეზიდენტის პირველი საყოველთაო არჩევნები (ამ უკანასკნელი ინსტიტუტის უკიდურესი საჭიროება გარდამავალ პერიოდში არ შეიძლება უარყოფილ იქნეს კონკრეტული პიროვნების საპრეზიდენტო მმართველობის კრახის გამო), აგრეთვე ისტორიული სამართლიანობის აღდგენა სამხრეთ-ოსეთის უკანონო ავტონომიური ოლქის გაუქმებით. ჩამოთვლილი პოზიტიური მომენტების გამოყენება აუცილებელია, როგორც შიდა სტაბილურობის მიღწევის თვალსაზრისით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე ქართული სახელმწიფოს შემდგომი მშენებლობისათვის.

აშკარაა: შიდა ქართული დაპირისპირება ძალისმიერი მეთოდებით არ დაიძლევა. მარტში მოხერხდა ზუგდიდში დიდი სისხლისღვრის თავიდან აცილება და ტყვედ ჩავარდნილ გვარდიელთა განთავისუფლება. სამწუხაროდ, დროებითი ხელისუფლების მხრიდან მაშინაც შეიმჩნეოდა არაკოორდინირებული მოქმედება, რამაც კიდევ უფრო შეასუსტა ისედაც შელახული ურთიერთნდობის ფაქტორი. ეს, ერთი მხრივ; მეორე მხრივ, კი სახელმწიფო საბჭომ ფაქტობრივად მიაღწია ყველა ძირითადი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტას — დამტკიცებულია საარჩევნო დებულება, დანიშნულია არჩევნების თარიღი, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ, გავხდით ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის, და ბოლოს, 31 ივლისს, გაერთიანებული ერების [illegible]ზაციის სრულუფლებიანი [illegible]. ამის შემდგომ, ვფიქრობთ, აუცილებელია მეტი კონკრეტულობით ითქვას იანვრისშემდგომი ქართული პოლიტიკის იმ სახიფათო ტენდენციებისა თუ განწყობილებების შესახებ, რომლებმაც, ჩვენი აზრით, შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოში დღესდღეობით უპირველესი მნიშვნელობის საკითხი ქართული ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაა. ეს ტვირთი ქართველმა ერმა საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებთან ერთად უნდა იკისროს, ამ მიზნისაკენ მიმავალ რთულ გზაზე მათ უნდა აერთიანებდეთ შეგნება, რომ მხოლოდ დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში შეიძლება შეიქმნას ყველა მოქალაქისათვის თანასწორუფლებიანი ბედნიერი არსებობის პირობები. თუ არადა, დიდხანს გაგრძელდება დაძაბულობა და კონფლიქტები, რაც მხოლოდ უბედურების მომტანი იქნება ყველასათვის.

მშვენივრად გრძნობდა რა ამ საშიშროებას ჯერ რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერია, ყოველნაირად იბრძოდა დაპყრობილი ქვეყნების შინაგანი მთლიანობის დასარღვევად კლასიკური იმპერიული — „გათიშე და იბატონე" პრინციპით. ეს პოლიტიკა საქართველოს მიმართ დიდი ინტენსივობით ხორციელდება, რადგან საქართველოს ჰქონდა განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და გამოირჩეოდა უკიდურესად თავისუფლებისმოყვარე, ანტისაბჭოთა განწყობილებით. ათწლეულთა განმავლობაში საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში იქმნებოდა სიტუაცია, რომლის დროსაც ქართული მოსახლეობის დისკრიმინაცია-შევიწროების ხარჯზე ფორმირდებოდა არაქართველი მოსახლეობის აშკარად პრივილეგიური მდგომარეობა. ამ იმპერიულ პოლიტიკას საბჭოური ინტერნაციონალიზმის დროშით სხვადასხვა დროის საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება დიდის გულმოდგინებით ახორციელებდა. ამ პოლიტიკის შედეგია, რომ ერთ საუკუნეში რამდენიმე ქართული რეგიონი წმინდა არაქართულ რეგიონებად გადაიქცა და დღეს აქტიური არაქართული მოსახლეობა ქართველთა კანონიერი უფლებების აღდგენას საკუთარ უფლებათა შეზღუდვად აღიქვამს. ამ პროცესს კიდევ უფრო ამწვავებს იმპერიულ ძალთა მიერ აშკარად გარედან მართვადი საქართველოს დაკაბალებისაკენ მიმართული პოლიტიკა, რომელიც ამ არაქართული მოსახლეობის ნაწილის ცნობიერებაში დაუფარავად კრისტალდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის (დარღვევის უცილოდ განსახორციელებელ მიზნად. ამ მიზნის მისაღწევად განხორციელებული არაშეიარაღებული ქმედებანიც კი (აღარაფერს ვამბობთ შეიარაღებულზე) პოლიტიკური დანაშაულია, რომელიც ყველა ნორმალურ სახელმწიფოში უნდა აღიკვეთოს. მხოლოდ ის, რომ კონფლიქტში მხარეები სხვადასხვა ეროვნებისანნი არიან, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეთნიკურ კონფლიქტთან გვაქვს საქმე. თუ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი და მიზანი ერთი სახელმწიფოს ისტორიული ტერიტორიის ხელყოფაა, მეორის სასარგებლოდ და იგი გარკვეულწილად გარედან იმართება, ეს უკვე პოლიტიკური კონფლიქტია. რაც შეეხება მათი დარეგულირების მექანიზმებს, საერთაშორისო სამართალი უპირატესობას დიალოგსა და მორიგების მეთოდებს ანიჭებს, რაც სულაც არ გამორიცხავს მრავალმხრივი გულწრფელი დიალოგისა და კომპრომისის მცდელობათა შემდეგ ადმინისტრაციულ ღონისძიებათა განხორციელებას.

რამდენიც უნდა გვაშინონ აფხაზმა თუ ოსმა სეპარატისტებმა „ეთნოკონფლიქტთა" მსოფლიოში გახმაურებით, „პატარა იმპერიის" საერთაშორისო იმიჯითა თუ სისხლისღვრით, თავისი არსით როგორც სამაჩაბლოს, ისე აფხაზეთის კონფლიქტები წმინდა პოლიტიკური კონფლიქტებია. ქართული პოლიტიკა, რომელიც ვერ ან არ შეძლებს მსოფლიოს საზოგადოებრიობისათვის ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებათა დამტკიცებას, **უვარგისი ეროვნული პოლიტიკაა** ან საერთოდ არ არის ეროვნული. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში 1991 წლის 31 მაისს შეიქმნა დოკუმენტი, რომელშიც თვით რუსეთისა და სსრ კავშირის დეპუტატები ადასტურებენ სამაჩაბლოში არსებული კონფლიქტის პოლიტიკურ ხასიათს. ამ დოკუმენტმა თავის დროზე ერთობ გააიოლა აღნიშნულ პრობლემათა დასავლეთის პოლიტიკური წრეებისადმი სწორად წარმოჩენა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დასავლეთის კონსერვატორული წრეებისათვის ეს საკითხები მანამდეც არ იყო ძნელად გასაგები. ამ მიმართულებით ყოველთვის პოლიტიკურზე მეტად ინფორმაციული ბრძოლა ჭირდა.

პოლიტიკური კონფლიქტის დროს აღვირახსნილ სეპარატიზმთან მიმართებაში ყველა სახელმწიფოს მოქმედების მეტი თავისუფლება ენიჭება, ამის მაგალითი სამწლიანმა სოც-დემოკრატიულმა საქართველომაც კი მოგვცა.

ყოფილი ხელისუფლების არასწორმა ეროვნულმა პოლიტიკამ კრახი განიცადა საერთაშორისო სამართლის, კანონიერების, დრო-

(დასასრული მე-3 გვ.).

დებულება

„საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის 323 დადგენილების გამოყენების წესის თაობაზე

1. სახელმწიფო გაერთიანებიდან ნებისმიერი საწარმოს ან სხვა სტრუქტურული ერთეულის (მათ შორის ვაჭრობის და მომსახურების საერთო ობიექტების) გასვლის საფუძველს წარმოადგენს მისი უშუალო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, რომელსაც მხარს უჭერს ამ საწარმოს ან სტრუქტურული ერთეულის მუშაკთა უმრავლესობა.

2. საწარმოს ან სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება გაერთიანებიდან გასვლის შესახებ განსახილველად უნდა წარედგინოს იმ სამინისტროს, უწყებას ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, რომელსაც იგი ექვემდებარება. სამინისტრო (უწყება) ან ადგილობრივი მმართველობის ორგანო ვალდებულია საწარმოს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ხუთი დღის ვადაში განიხილოს აღნიშნული საკითხი და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება მასზე. ამ ვადის დარღვევის და საკითხის გადაწყვეტის უსაფუძვლოდ გაჭიანურების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტს.

3. იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოს სახელმწიფო გაერთიანებიდან გასვლისას, წამოჭრილი ყველა სადავო საკითხი (ფინანსური, ქონებრივი და ა. შ.) გადაწყდება დაინტერესებული მხარეების ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს საარბიტრაჟო სასამართლო.

4. იურიდიული პირის სტატუსის არმქონე სტრუქტურული ერთეულის გაერთიანებიდან გასვლისა და დამოუკიდებელ იურიდიულ პირად ჩამოყალიბებისას სამინისტრო, უწყება ან ადგილობრივი მმართველობის ორგანო გამოსცემს ბრძანებას სახელმწიფო საწარმოს შექმნის შესახებ, ამტკიცებს საწარმოს წესდებას სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმების საფუძველზე და აღძრავს მარეგისტრირებელი ორგანოს წინაშე შუამდგომლობას ახლად შექმნილი საწარმოს რეგისტრაციის შესახებ. რეგისტრაცია ხდება მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაციისათვის.

დამოუკიდებელ იურიდიულ პირად ჩამოყალიბებულ საწარმოს განკერძოებული ქონების განსაზღვრისას გადაეცემა მის სამეურნეო სარგებლობაში არსებული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები საბალანსო ღირებულებით. სხვა აქტივები და პასივები გაიყოფა მათში საწარმოს რეალური წილის პროპორციულად. თუ დაინტერესებული მხარეები აღნიშნულ საკითხზე ვერ შეთანხმდებიან, დავას გადაწყვეტს საარბიტრაჟო სასამართლო.

5. სახელმწიფო გაერთიანებიდან გასვლაზე სამინისტროს, უწყების ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოს უარის შემთხვევაში საწარმოს ან სხვა სტრუქტურულ ერთეულს უფლება აქვს მიმართოს სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტს, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

ვინ გაყო საქართველო და აფხაზეთი!

ყველაფერს ვიღონებთ მშვიდობის აღსადგენად!

მიმართვა მსოფლიო სამწერლო ორგანიზაციათა ეროვნულ პენ-ცენტრებს

საერთაშორისო პენ-კლუბის ქართული პენ-ცენტრი აღშფოთებით აღნიშნავს კავკასიის მთიელთა უკანონო კონფედერაციის კაციჭამიურ მუქარას ქართველი ხალხისა და კერძოდ თბილისის მიმართ ტერორის გამოცხადების გამო. თბილისი, რომელიც უკვე ხუთი წელია აღიარებულია „მშვიდობის დესპანად“, დღეს უბედურების ქალაქად გამოაცხადეს.

ქართული პენ-ცენტრის პრეზიდიუმი მიმართავს მსოფლიოს სამწერლო ორგანიზაციათა ეროვნულ პენ-ცენტრებს, ყველა ჩვენ კოლეგას, დაგმონ ეს ბარბაროსული მუქარა და სამარცხვინო ბოძზე გააკრან მისი სულისჩამდგმელნი.

დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მდგარი საქართველო, საყოველთაო ეროვნული არჩევნების წინ, მთელ ძალ-ღონეს იკრებს იმისთვის, რომ ღირსეულად ჩადგეს მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობაში. სწორედ ამ მომენტს დაუმიზნეს ბნელეთის ძალებმა, რათა ჩაშალონ არჩევნები და აგვაცდინონ დემოკრატიის გზას.

ჰუმანისტების ქვეყანა, რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის სამშობლო ყოველთვის პატივს სცემდა და ღირსებით ეპყრობოდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ერის წარმომადგენელთ, მიუხედავად მათი რელიგიური მრწამსისა.

მთელი ქართველი ხალხი, ერთგული თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეებისა, ყველაფერს იღონებს თავის ისტორიულ ტერიტორიაზე მშვიდობის აღსადგენად.

მოგმართავთ რა ამ მძიმე წუთებში, იმედი გვაქვს თქვენი მხარდაჭერისა.

ქართული ეროვნული პენ-ცენტრის სახელით **შაბუა ამირეჯიბი, ჯანსუღ ჩარკვიანი.**

●

საქვეყნოდ ვაცხადებთ

თბილისის მოქალაქენო!

საქართველოს დედაქალაქი გამოცხადებულია უბედურების ქალაქად! მერედა, ვინ გამოაცხადა? პრეზიდენტყოფილის მტარვალური წაქეზებით კავკასიის მთიელთა უკანონო კონფედერაციამ!

როგორც გამსახურდიას განცხადება, ასევე მთიელთა კონფედერაციის ბრძანებულება ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს.

ასეთი თავხედობა და უგნურობა, ამგვარი აშკარა მოწოდება ტერორისაკენ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს.

თბილისელებო! საქართველოს უჭირს. მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს. ჩვენ გვჯერა, რომ დედაქალაქის მცხოვრებნი, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ერთ მუშტად შევიკრებით.

საქვეყნოდ ვაცხადებთ — საქართველოს თავისუფლებისთვის დაღუპული ბიჭების სისხლს ვფიცავთ, რომ მტერს, შინაურსაც და გარეულსაც, მახვილით დავხვდებით. იარაღით მოსულთ, ასევე მტრულად მოსისინეთ და მოლაყბეთ, რომლებსაც საქართველოს დაქუცმაცება მოუნდომებიათ, ერთნაირად გავუსწორდებით.

ეს მიმართვა იწერება ცნობილი მანიფესტის შემდეგ, რომლითაც ბევრს დანაშაული ეპატია. თბილისელებო, დაბალ ღობედ მიგვიჩნიეს, სულში ჩაგვაფურთხეს. აივსო მოთმინების ფიალა — დღეიდან მოკვეთილ იქნეს საქართველოდან გაქცეული პრეზიდენტყოფილიც და მისი აქ დარჩენილი მომხრენიც, რომლებიც ძირს უთხრიან საქართველოს და მის მთლიანობას.

ეს მიმართვა მიღებულია საზოგადოება „თბილისელის“ საგანგებო შეკრებაზე 1992 წლის 25 აგვისტოს.

●

შევაჩეროთ ბოროტება!

მიმართვა კავკასიის ხალხებს და კულტურის მოღვაწეებს

მძიმე გამოცდის დღე დაგვიდგა. მოვლენები, რაც ჩვენს გარშემო ტრიალებს, ძნელი წარმოსადგენია და შეუძლებელია, მოუძებნო რაიმე გამართლება. ოდითგანვე ჩვენს ხალხებს ყველაზე უფრო თავისუფლებისათვის ბრძოლის გამორჩეული სიყვარული აერთიანებდათ — ამით იყვნენ ისინი ამაყნიც და ძლიერნიც. ჩვენ ერთმანეთთან გვაახლოებს აგრეთვე სტუმარმასპინძლობის ურყევი კანონი და საუკუნეებით ჩამოყალიბებული ადათ-წესები. ყველაფერი ეს სადღეისოდ, ჩვენდა სამწუხაროდ, დაირღვა. ბოროტმა ძალებმა, რომელთაც ხელს არ აძლევთ ნანატრი თავისუფლება, დასაყრდენი პოვეს იმ განწირულ ნიადაგზე, სადაც სიკეთის ნაყოფი არ ხარობს.

კავკასიაში მცხოვრებო კულტურის მოღვაწენო! ბევრი თქვენგანი თბილისში ეზიარა სწავლა-განათლებას, იმ ქალაქში, რომელიც დღეს ეგრეთ წოდებული მთიელთა კონფედერაციის მიერ გამოცხადებულია უბედურების ზონად, რაც აშკარა მოწოდებაა ტერორისაკენ.

აფხაზეთში მოქმედებენ შეიარაღებული ბანდები — იქ, სადაც ვიბრძვით ერთიანი, განუყოფელი საქართველოს დასაცავად. ჩვენ დავიცავთ ჩვენს სახელმწიფოებრივ მთლიანობას, რა ძალაც უნდა გვეღობებოდეს წინ.

საქართველო ოდითგანვე მშვიდობიანი ქვეყანა იყო და ასეთად რჩება დღესაც.

მეგობრებო!

ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობები, კეთილმეზობლური ტრადიციები მოგვიწოდებს შევაჩეროთ ბოროტება, რომელიც ზიანის მეტს არაფერს მოუტანს მთელს კავკასიას. თქვენი სიბრძნე და გამოცდილება უთუოდ შეუწყობს ხელს ამ უმწვავესი სიტუაციიდან თავდასაღწევი გზის გამოძებნას.

გვწამს, საღი აზრი გაიმარჯვებს!

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო.

სარედაქციო ფოსტიდან

●

ხანდაზმულთაც შეგვწევს ძალა

აფხაზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით გაიმართა ომის, შრომის და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა აქტივის კრება.

კრება გახსნა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრმა, ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ა. ბერიძემ, რომელმაც შეკრებილთ გააცნო შექმნილი ვითარება.

კრებამ მიიღო შემდეგი მიმართვა რესპუბლიკის ვეტერანებისადმი.

საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა ორგანიზაციის აქტივის კრება დიდ აღშფოთებას გამოთქვამს კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტის და პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკისადმი წაყენებული აგრესიული ულტიმატუმის გამო.

თავხედობისა და ცინიზმის გაუგონარი მაგალითია, როცა არასახელმწიფოებრივი თვითმარქვია ორგანიზაცია ომს უცხადებს სუვერენულ ქვეყანას, მის სატახტო ქალაქს უბედურების ზონად აცხადებს და იმუქრება, რომ განახორციელებს ტერორისტულ აქტებს ამ ქალაქში, გადაკეტავს ქვეყანაში შემავალ გზებს, ეროვნული წარმოშობის ნიშნით მძევლად აიყვანს უდანაშაულო ადამიანებს...

ნიღაბი ჩამოეხადა აფხაზეთის ექსტრემისტულ ძალებს, მათს თვალთმაქცობას ქართველი ხალხის მიმართ, მათს ზრახვებს, გამოიყენონ ყველაზე შავბნელი ძალები ქართველი ხალხის წინააღმდეგ იმ ხალხის მიმართ, რომელიც თავისი ისტორიის მანძილზე ძმურად მხარში ედგა ჭირსა და ლხინში აფხაზებს, ლუკმაპურს უნაწილებდა და მუდამ ზრუნავდა და ახლაც ზრუნავს თავისი განუყრელი ძმებისა და დების — აფხაზი ხალხის კეთილდღეობისთვის.

საქართველოს ვეტერანთა ორგანიზაცია უსაზღვროდ აღშფოთებულია და საქვეყნოდ აცხადებს — 700 ათასი ვეტერანი წინაღუდგება ყველას, ვინც ხელყოფს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ არ დაგვიზოგავს თავი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ახლა, როცა საქართველომ ნანატრი თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ჩვენ კიდევ შეგვწევს უნარი დავიცვათ ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა, მათ შორის აფხაზებისაც, კეთილდღეობა, და მოვუწოდებთ საქართველოს ყველა ვეტერანს, ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში.

საქართველოს ვეტერანთა რესპუბლიკური აქტივის კრება.

●

მისია ბოლომდე უნდა შესრულდეს!

ჩვენ, ცხინვალელი ლტოლვილები, გულისტკივილით ვისმენთ საქართველოს ძირძველ, განუყოფელ კუთხეში — აფხაზეთში მიმდინარე ერთობ სამწუხარო ამბებს, რაც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დიდი ნაწილის, პირადად ვლადისლავ არძინბას და სახალხო ფორუმ „აიდგილარას“ უგუნური მოქმედების შედეგია.

აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები ჩვენთვის, ცხინვალელი ქართველებისთვის, კარგად ნაცნობი სცენარის შედეგია. იგივე ხელწერა ახასიათებს ე. წ. სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა, დემოკრატიული რესპუბლიკის თვითმარქვია ხელისუფლებას, მის ლიდერს ტორეზ კულუმბეგოვს და ოსთა სახალხო ფორუმს „ადამონ ნიხასს“. როგორც ოსი, ისე აფხაზი სეპარატისტების მოქმედებამ უწინარესად, მათსავე ხალხს მიაყენა გამოუსწორებელი ზიანი.

ვიწონებთ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს უკომპრომისო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია აფხაზი სეპარატისტებისა და ამ ტერიტორიაზე მოქმედი სისხლის სამართლის დამნაშავეების წინააღმდეგ და არავითარ შემთხვევაში მიზნად არ ისახავს აფხაზი ხალხის შევიწროებას.

ლტოლვილთა სახელით ქ. ცხინვალის ქართველი მოსახლეობის დროებითი საბჭო.

●

ჭეშმარიტი სამამულო ომი

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის განცხადება

რუსეთის იმპერიული ძალები ალვივებენ დიდმასშტაბიან გამოუცხადებელ ომს საქართველოს წინააღმდეგ. საქართველოში ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფების შეიარაღებასთან ერთად და ანტიქართული ორგანიზებული რაზმების შექმნასთან ერთად, რასაც ისინი დიდი ხანია ეწევიან, აგრეთვე ძირგამომთხრელი მუშაობის სხვა ფორმებთან ერთად, დივერსიების ინსპირაციისა და ორგანიზაციის ჩათვლით, დღეს ისინი აწარმოებენ საქართველოში მეომარი და დივერსიული ჯგუფების შემოგზავნას ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან, რასაც, მთიელ ხალხთა სოლიდარობის ნიღბით, ისლამის იდეოლოგიაზე აფუძნებენ. კიდევ ერთხელ იკვრება რუსული იმპერიული ძალებისა და ისლამური ძალების კავშირი საქართველოს წინააღმდეგ, რასაც თითქმის ორასი წლის ისტორია აქვს და რისი პირველი მაგალითიც იყო რუსეთის მხრივ ალა-მაჰმად-ხანის დახმარება მის ლაშქრობაში საქართველოზე. საქართველოში დისლოცირებული რუსული არმიის ნაწილები სისტემატურად აძლევენ იარაღს ანტიქართულ ფორმირებებს სამხედრო საწყობების „გაძარცვის“ ინსცენირების ფორმით.

მოსალოდნელია საქართველოზე კიდევ უფრო დიდი მასშტაბის თავდასხმების ორგანიზაცია, ვიდრე დღეს ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში ხდება.

საქართველოს ელის ჭეშმარიტი სამამულო ომი, რომელიც უკვე დაწყებულია. საქართველომ ამ ომში უნდა გაიმარჯვოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს მომავალ თაობებს სისხლიანი და დამამცირებელი მონობა მოელით.

დღეს საჭიროა:

1. ქართველი მოსახლეობის საყოველთაო სამხედრო წვრთნის დაუყოვნებლივ დაწყება.
2. საქართველოში სამხედრო წარმოების ორგანიზაცია.
3. არსებული იარაღის და მომზადებულ ადამიანთა რესურსების დაუყოვნებლივ მობილიზაცია და სამხედრო შენაერთებად ფორმირება.
4. სასურსათო და სხვა მატერიალური რესურსების აღრიცხვა და მათი გამოყენების ოპტიმალური დაგეგმვა.
5. სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაცია.
6. მტკიცე სახელმწიფოებრივი დისციპლინის დამყარება დროებითი სამხედრო წესების შემოღების გზით, მათი სათანადო პუბლიკაციითურთ.

ამ ღონისძიებათა განხორციელების სახელმწიფოებრივი ფორმა უნდა იყოს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნა, რომელსაც დაექვემდებარება ყველა სახელმწიფო ორგანო მომავალი პარლამენტის გარდა. კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილება უნდა იყოს მაქსიმალური და მისი პასუხისმგებლობა ერის წინაშე — უმკაცრესი. კომიტეტი უნდა დაკომპლექტდეს მხოლოდ თავმჯდომარის მიერ შერჩეული კომპეტენტური სამხედრო, ტექნიკოსი და ეკონომისტი სპეციალისტებით.

საქართველოს სახალხო ფრონტი აწარმოებს მოხალისეების აღრიცხვას საქართველოს დასაცავად ბრძოლისათვის და ომის სხვა საჭიროებათა სამსახურისათვის. იმათ, ვისაც სამხედრო ცოდნა არა აქვს, სახალხო ფრონტი დაეხმარება სამხედრო ცოდნის მიღებაში; იმათ, ვისაც სამხედრო ან სხვა დარგის ცოდნა აქვს, სახალხო ფრონტი წარადგენს საქართველოს შეიარაღებულ ძალთა სარდლობასთან.

იმ მოხალისეთა მინიმალური ასაკი, ვისაც სათანადო მომზადება უკვე გაჩნია და უშუალოდ მოქმედებში მონაწილეობა სურს, 28 წელია.

მომსვლელებს ვთხოვთ თან იქონიონ პასპორტი და სამხედრო ბილეთი.

მოხალისეთა რეგისტრაცია წარმოებს მისამართით: ქ. თბილისი, პუშკინის ქ. № 5/7 (თავისუფლების მოედანი), საქართველოს სახალხო ფრონტი, საორგანიზაციო განყოფილება, ტელეფონი: 98-19-93, ბატონი ზაზა ჩიქოვანი.

საქართველოს სახალხო ფრონტი.

საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

ეგრეთ წოდებული კავკასიის მთიელთა კონფედერაციის მიერ თბილისის უბედურების ზონად გამოცხადებამ ყველა თბილისელი, სრულიად საქართველო აღაშფოთა, ქუჩაში გამოიყვანა. 27 აგვისტოს თბილისში, რიყის მიდამოებში მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა. საქართველოს უჭირს, მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს — ასეთია თბილისელთა შეკრების ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

●

თუ აფხაზური მხარე ყურად არ იღებს

საქართველოს სატრანსპორტო მშენებელთა კორპორაცია „მაგისტრალის“ მრავალათასიანი და მრავალეროვანი კოლექტივი დაძაბულად ადევნებს თვალყურს ამ ბოლო ხანს მოვლენათა მსვლელობას აფხაზეთში. იგი მთელ ქართველ ხალხთან ერთად უაღრესად შეშფოთებულია და დიდი გულისწყრომით აღნიშნავს აფხაზი ექსტრემისტების მხრიდან მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის გატაცებისა და მძევლად აყვანის ფაქტებს.

კერძოდ, 1992 წლის 24 აგვისტოს, საკუთარი ბინიდან, აფხაზმა ყაჩაღებმა თავხედურად გაიტაცეს მძევლად, დამსახურებული სატრანსპორტო მშენებელი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო აფხაზეთში უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობას, მრავალშვილიანი ოჯახის მამა, უაღრესად კეთილშობილი და თავმდაბალი, ადამიანი, „საქტრანსმშენის“ ტრესტის სოხუმის სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსი ალექსანდრე ჩხაიძე, რამაც საბოლოოდ აავსო მშენებელთა მოთმინების ფიალა.

ამასთან დაკავშირებით და სატრანსპორტო მშენებელთა დავალებით, კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ აფხაზმა ექსტრემისტებმა დაუყოვნებლივ დააბრუნონ ყველა მძევალი.

თუ აფხაზური მხარე ყურად არ იღებს ჩვენს მოთხოვნას, მივმართავთ საქართველოს არმიის სარდლობას, რომ სატრანსპორტო მშენებელთა მთელ პირად შემადგენლობას მისცეს საშუალება, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მძევალთა განთავისუფლების და ექსტრემისტულად განწყობილი აფხაზი ავაზაკების მიერ საქართველოს წმინდათაწმინდა საზღვრების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გარდა ამისა, „საქტრანსმშენის“ ტრესტის კოლექტივი თავისი დანაზოგიდან 500 ათას მანეთს გადარიცხავს საქართველოს ჯარის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ფონდში.

ლევან მეგრელიშვილი,

საქართველოს სატრანსპორტო მშენებელთა კორპორაციის „მაგისტრალის“ პრეზიდენტი, „საქტრანსმშენის“ ტრესტის მმართველი.

სარედაქციო ფოსტიდან

●

აცნობეთ ყველას

ძალიან განვიცდი და ამიტომ გადავწყვიტე თქვენ მოგმართოთ. ჩემი გულისტკივილი მინდა გამოვთქვა იმის გამო, რომ რესპუბლიკაში ზვიადის მომხრე ჯგუფები თავმოყრის ადგილებში ჭორებს ავრცელებენ — „სულ მალე გამსახურდია გაიმარჯვებს, ვინაიდან ჯორჯ ბუშს არჩევნებში დამარცხება მოელის, სამაგიეროდ, ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატს ბილ კლინტონს, რომელიც ზვიადის მეგობარია, საარჩევნო კამპანიაში დიდი მიღწევები აქვს. იგი გამარჯვების შემთხვევაში თავისი პოსტის აღდგენაში მოხმარებას პირდება ზვიად გამსახურდიას. ამიტომ ჩვენ ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ და ბოლომდე ვიბრძოლოთ უკანონო მთავრობის წინააღმდეგო.

ეს ზოგიერთებს სჯერათ. რადგანაც ისინი, განსაკუთრებით რაიონებში, სათანადოდ არ არიან ინფორმირებულები, ამიტომ ჭორებსაც ველარ გადაამოწმებენ.

ჩემი დიდი სურვილია, პრესით, ტელევიზიითა და რადიოთი აცნობოთ ყველას რაიონსა თუ სოფელში, რომ იქ, ამერიკაში ვინც უნდა გაიმარჯვოს, აქ, საქართველოში, ჩვენ სწორი გზით მივდივართ და ვერავინ შეგვიშლის ხელს დემოკრატიის აშენებაში.

ნ. ღუდუშაური.

თბილისი.

●

ძველ გმირებს უხმობს ჯგირაგის[1] ზარი!

საქართველოს პიქარის მცველ სვანებს

გადამთიელს განუზრახავს
ჩვენი მიწა გადათელოს...
ზარი დაჰკრეს! გაიღვიძე,
ჩემო ძველო საქართველოვ!

გაიღვიძე, შენებურად
შეიკარი ძალუმ მუშტად!
კიდლად დადგეს ტომი ტომთან,
ნუ შეხედავს ძმა ძმას კუშტად.

ქუდზე კაცი გავიდოდა,
დაიძვროდა მთიდან ზვავად;
ეს პატარა საქართველო,
იქცეოდა რისხვის ზარად.

რომ გაშლიდა ნაცად დროშას
დავითისას, თამარისას, —
ერთხელ კიდევ იმ ჯგირაგმა
სეტის[2] ზარი დაარისხა.

არც დღესა ხარ უდარდელი,
ღმერთმა თეთრად დაგათენოს!
გაიღვიძე, გიხმობს ზარი,
შენი დედასაქართველო!

აკაკი გელოვანი.

[1] ჯგირაგი — წმინდა გიორგი

[2] სეტი — მესტია.

პარტიებსა და მოძრაობებში

ქართველი პოლიტიკოსები ნატოს შტაბბინაში

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია და ამავე პარტიის პოლიტიკური მდივანი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სამხედრო კომისიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის გენერალური მდივნის ანრი ლუის მიწვევით იმყოფებიან ბელგიაში.

26 აგვისტოს ნატოს გენერალურ სამდივნოში გ. ჭანტურიას და მ. გიორგაძეს ჰქონდათ ორი მიღება ნატოს ხელმძღვანელობასთან, რომელსაც გააცნეს საქართველოში მიმდინარე პროცესები, ჩვენი სახელმწიფოს დღევანდელი პრობლემები.

იმავე დღეს შეიკრიბა ნატოს სპეციალური პოლიტიკური საბჭო, რომელიც მთლიანად დაეთმო საქართველოს. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა გიორგი ჭანტურია, რომელმაც დამსწრეთ სხვა მასალებთან და ინფორმაციასთან ერთად გააცნო მთიელ ხალხთა კონფედერაციის განცხადება, რამაც ცალსახა, მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

შეხვედრისას გამოიკვეთა ის, რომ დასავლეთი აბსოლუტური გაგებით ხვდება საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯებს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. გ. ჭანტურიამ გამოთქვა ვარაუდი, რომ ყოველივე ამის უკან შეიძლება რუსეთის ძალები იმალებოდეს, რასაც დაეთანხმნენ ამერიკის, გერმანიისა და ნიდერლანდის წარმომადგენლები, დანარჩენ წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ, თუმცა გაგებით შეხვდნენ ამ აზრს.

ნატოს ხელმძღვანელობამ ქართულ დელეგაციას აღუთქვა, რომ უახლოეს დღეებში იგი სათანადოდ გამოეხმაურება საქართველოში მიმდინარე ამბებს. სპეციალური პოლიტიკური საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში შემავალი 16-ვე ქვეყნის სრულუფლებიანი წარმომადგენლები.

საბჭოს სხდომაზე ითქვა, რომ ნატოს ხელმძღვანელობა ელის სახელმწიფო საბჭოსა და მისი სამხედრო კომისიისაგან კონკრეტულ წინადადებებს და თხოვნას ექსპერტების საქართველოში წარგზავნასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

26 აგვისტოს, გაიმართა პრესკონფერენცია ბელგიელი ჟურნალისტებისთვის, ხოლო 27 აგვისტოს ჩვენი წარმომადგენლები მესამედ შეხვდნენ ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის გენერალურ მდივანს ანრი ლუის, მამუკა გიორგაძის რიგით მესამე შეხვედრა სპეციალურად მოეწყო საქართველოს დასავლეთის, სახელდობრ, აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებით.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრესცენტრი

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი-კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

1. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ბიუროს წევრები (თბილისი, რუსთავი) გამოცხადდნენ თბილისის შესაბამისი რაიონების პოლიციის განყოფილებებში ქალაქის პატრულირებაში მონაწილეობის მისაღებად.

2. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჯგუფი გაიგზავნოს სოხუმში ადრე წარგზავნილი ჯგუფის (ხელმძღვანელი — გ. კობახიძე) გასაძლიერებლად.

ჯგუფის შემადგენლობას დაამტკიცებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმი.

3. ამასთან დაკავშირებით, ცენტრალური ბიუროს წევრები 28 აგვისტოს შეიკრიბონ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში, 13 საათზე.

აუცილებელია გაწონასწორებული ეროვნული პოლიტიკა

(დასასრული)

ის მოთხოვნათა, თუ ელემენტარულ დემოკრატიულ პრინციპთა უგულებელყოფის გამო. ისიც ვთქვით, რომ დღეს ქვეყნისათვის უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა ეროვნულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაა, რომლის გადაწყვეტასაც მხოლოდ გაწონასწორებული ეროვნული პოლიტიკით შეიძლება. ამგვარი პოლიტიკის განხორციელება კანონიერების, საერთაშორისო სამართლის, დემოკრატიისა თუ სამართლიანობის ძირითად პრინციპთა განუხრელი დაცვით არის შესაძლებელი. ყოველივე ეს ცივილიზებული სამყაროს მიერ შემუშავებული და მისთვის მისაღები ის მექანიზმებია, რომლითაც სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების დაცვა და ურთიერთრეგულირება ხორციელდება. გარდა ამისა, არსებობს ძალა, რომლის გამოყენებასაც დემოკრატიული მსოფლიო მხოლოდ მაშინ გაამართლებს, როდესაც ზემოთჩამოთვლილ ცივილიზებულ მეთოდთა მრავალჯერადი გამოყენება ნაყოფს არ გამოიღებს და უხეშად დაირღვევა არა მარტო პოლიტიკის, არამედ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები — სამართლიანობის პრინციპები.

დროებითმა ხელისუფლებამ ოფიციალური პოლიტიკის უმაღლეს ღირებულებად და კრიტერიუმად დემოკრატია და საერთაშორისო ნორმები გამოაცხადა. ჩვენი აზრით, იანვრისშემდგომ ქართულ პოლიტიკაში ზოგჯერ ამ კრიტერიუმებს საქართველოს ეროვნული ინტერესები ექვემდებარებოდა, ანუ მიზანი ექვემდებარებოდა საშუალებებს, რაც პრინციპულად არასწორია და რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საქართველოს ჯერაც საწყის ეტაპზე მყოფი სახელმწიფოს შენების პროცესს. არავითარ შემთხვევაში არ ვაკნინებთ რა დროებითი ხელისუფლების პოლიტიკის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს მიღწევებს, ქვემოთ უფრო კონკრეტულად შევეცდებით განვმარტოთ, თუ რას ვგულისხმობთ ამ საფრთხეში:

ყველასათვის ცხადია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საშიშროებაზე არანაკლები საფრთხე საქართველოს სულიერი მთლიანობის დარღვევაა. სამეგრელოში განვითარებულ მოვლენათა გამო პირისპირ დავდექით ამ საშიშროებასთან. ჯერ კიდევ 16 იანვრის შემდგომ, უშუალოდ ვმონაწილეობდით რა დაპირისპირებულ მხარეთა შორის გამართულ თითქმის ყველა დიალოგში, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დროებითი ხელისუფლება არაერთგზის შეეცადა მშვიდობიანი გზით პრობლემათა გადაწყვეტას, მაგრამ ეს ფაქტი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაამართლებს იმას, რაც სამეგრელოში მოხდა. მოხდა კი ის, რომ საქართველოს ამ კუთხეში არსებულ პრობლემათა გადაჭრა ჩვენივე სისხლისა და ხორცის დაშინებითა და ძალისმიერი მეთოდებით ვცადეთ. ვცადეთ ჯერ კიდევ 24 ივნისის მოვლენებამდე. სხვათა შორის, იგივე მეთოდებით ყოფილი ხელისუფლების თავგამოდებულ მომხრეთა დაშოშმინების მცდელობა თბილისშიც იყო. მაშინ, როდესაც დროებით ხელისუფლებას ძალისმიერი მეთოდებისათვის ათასი ჯურის შეიარაღებულ სეპარატისტებთან ურთიერთობის დროსაც კი არ მიუნიჭებია უპირატესობა. ეს გარკვეულწილად ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ყოფილი ხელისუფლების მომხრენი გაცილებით ნაკლები საერთაშორისო მხარდაჭერით სარგებლობენ, ვიდრე ეს შეიარაღებული სეპარატისტები. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ პირველებს გაცილებით მეტი სამართლიანი მიზეზი აქვთ განაწყენებისა თუ უკმაყოფილებისათვის (ჩვენ ვგმობთ მათ მიერ არჩეულ ბრძოლის მეთოდებს) ვიდრე უკანასკნელთ. ეს სხვა არაფერია, თუ არა საერთაშორისო კონიუნქტურის გათვალისწინებით ვიწრო პოლიტიკური ინტერესების ზოგადეროვნულ ინტერესებზე მაღლა დაყენება. რა თქმა უნდა, სამეგრელოში ისეთი შეიარაღებული ჯგუფებიც არსებობს, რომელთა წინააღმდეგაც მხოლოდ სამართალდამცველმა ორგანოებმა უნდა იმოქმედონ, მაგრამ დღეს ვერავის დავაჯერებთ, რომ ერთობ დაბალი პროფესიონალიზმისა და რეპუტაციის შეიარაღებული შენაერთები ამ კუთხეში წესრიგის დასამყარებლად გაიგზავნა. ვფიქრობთ, ძირითადად სწორედ ამგვარმა მოქმედებამ გამოიწვია სამეგრელოს ნეიტრალურად განწყობილი მოსახლეობის ნაწილის აქტიური დაპირისპირება დროებითი ხელისუფლებისადმი. ყოვლად გაუმართლებელი იყო ზოგიერთი სატელევიზიო გადაცემა თუ საგაზეთო პუბლიკაცია, რომლებიც ამ მოვლენებს მოჰყვა და რომლებიც ვერაფრით წაადგნენ საქართველოს შერყეული სულიერი მთლიანობის აღდგენის საქმეს. წალენჯიხაში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ თელავსა და ახმეტაში მოგვიწია ყოფნამ. გაგვახარა კახელთა ჩვეული პირდაპირობით გამოთქმულმა საყვედურმა: რა შუაშია, წალენჯიხაში ყვარლელი ბიჭები დაიღუპნენ, ქუთაისელები თუ თბილისელები, ქართველი ქართველია. ხომ არ უნდათ, მეგრელებს წაგვკიდონო.

მდგომარეობა სამეგრელოში უშუალო კავშირშია ქართულ-აფხაზურ პრობლემასთან. ამდენად, კიდევ უფრო საჭირო და აუცილებელი ხდება საყოველთაო ქართული შერიგება. ამ მხრივ მისასალმებელია 3 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოზე მიღებული მანიფესტი, რომელიც ფაქტობრივად ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა საყოველთაო ამნისტიას ნიშნავს. დიდი შერიგების პაკეტში აუცილებელია შევიდეს სხვა პოლიტიკური გადაწყვეტილებანიც: ოპოზიციურ პოლიტიკურ ორგანიზაციათა შეუზღუდავი მოქმედება საარჩევნო რეგისტრაციისა და ჭეშმარიტად დემოკრატიულ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის სრული გარანტიებით. აუცილებელია დიდი პოლიტიკური დათმობები, რათა შერიგების ეს უკანასკნელი შანსი ხელიდან არ გავუშვათ. ამასთან, ვფიქრობთ, აუცილებელია, დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება სამეგრელოში მოქმედ შეიარაღებულ ფორმირებებთან, რათა, რაც შეიძლება სწრაფად ერთობლივად გაკონტროლდეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ლესელიძესა და როკის გვირაბთან. ეს ურთიერთნდობის ერთგვარი გამოხატულება იქნება, ეგებ გუშინდელი მოწინააღმდეგეები იარაღით ხელში სამშობლოს დასაცავად მხარდამხარ დგომამ შეარიგოს.

აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომელიც შარშან ჭეშმარიტად „აპარტეიდისეული“ არჩევნების გზით მოვიდა ხელისუფლების სათავეში, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გამუდმებით ცდილობენ აფხაზეთში მცხოვრები ორი ავტოქტონური (მკვიდრი) ეროვნებიდან ერთნი მჩაგვრელებად, ხოლო მეორენი ჩაგრულებად წარმოადგინონ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ XIX საუკუნის მახაჯირობის ცნობილ მოვლენებს ქართველებსა და საქართველოს აბრალებენ, თუმცა ფაქტია, რომ მაშინ რუსეთის გუბერნია ვიყავით. ეს პოლიტიკა აფხაზეთსა და ქართველებს შორის არსებული დაძაბულობის შემდგომ ესკალაციას უწყობს ხელს, რაც თავისთავად დანაშაულია, ხოლო მისი სიყალბე, აღნიშნული საარჩევნო კანონის აშკარად დისკრიმინაციულ ხასიათსაც რომ თავი დავანებოთ, იმ უცილობელი ფაქტითაც დასტურდება, რომ აფხაზეთში უკანასკნელ ათწლეულთა მანძილზე მიმდინარეობდა სწორედ ქართველთა გააფხაზებისა და არა აფხაზთა გაქართველების პროცესი. ბუნებაში არ არსებულა და არც შეიძლება არსებობდეს ტენდენცია, როდესაც გაცილებით დიდი პრივილეგირებული და „მჩაგვრელი“ ერის წარმომადგენლები მცირე და დისკრიმინირებული — „ჩაგრული“ ერის შვილებად გახდომას ლამობდნენ. ეს თვალნათლივ მეტყველებს იმაზე, თუ რომელი ეროვნების ინტერესები ილახებოდა უკანასკნელ ხანს და ილახება დღესაც, აფხაზეთში. ამ კურსს აშკარად უნდა ეწოდოს დანაშაულებრივი პოლიტიკა, რომლის შესაწყვეტად ეფექტიანი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს. არსებობს პოლიტიკური დანაშაულობანი, რომელთაც გაცილებით მეტ უბედურებათა მოტანა შეუძლიათ, ვიდრე სხვა ნებისმიერი სახის დანაშაულობებს. აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას აფხაზეთში ისეთი სიტუაცია, როცა დღევანდელი ხელისუფლება დათანხმდება მოაწყოს ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები. ამისათვის კი აფხაზეთის მთელი ქართველი და არაქართველი მოსახლეობის თანადგომა და ერთიანი ძალისხმევაა საჭირო. დაუყოვნებლივ უნდა აღსდგეს საქართველოს იურისდიქცია აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. რაც შეეხება აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს ურთიერთობებს, იგი ჯერ კონსტიტუციურად უნდა მოწესრიგდეს — უნდა შეიქმნას საქართველოს და აფხაზეთის კონსტიტუციებში ურთიერთინტერესთა დაცვის და კომპეტენციათა გამიჯვნის მექანიზმები. შემდეგ კი აფხაზეთისა და საქართველოს დემოკრატიული წესით არჩეულმა ლეგიტიმურმა ხელისუფლებებმა უნდა განახორციელონ ამ კონსტიტუციათა დაცვის პოლიტიკა, რათა ამ მიწაზე საუკუნეთა განმავლობაში მცხოვრებ ქართველ და აფხაზ ერებს მომავალშიც შექმნათ ბედნიერი თანაცხოვრების პირობები. რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილების საპასუხოდ (გაამაგროს რუსეთ-საქართველოს აფხაზეთის ახლომახლო საზღვარი კაზაკთა ახალი დასახლებების შექმნით) საქართველოს სახელმწიფოს საზღვრის ამ მონაკვეთის გაკონტროლება ოფიციალურ ქართულ შეიარაღებულ ძალებს უნდა დაევალოთ. მით უმეტეს, არსებობს სახელმწიფო საბჭოს მიერ 9 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილება სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებით.

აფხაზეთის მოსახლეობის განწყობილებანი 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის დროსაც გამოვლინდა. მოსახლეობის 64 პროცენტმა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა, თუმცა ქართველები აფხაზეთის მოსახლეობის 44 პროცენტს შეადგენენ. თანაც თითქმის იმავდროულად აფხაზეთის ხელისუფლება საბჭოური რეფერენდუმის თავგამოდებულ აპოლოგიას ეწეოდა. დღევანდელ ქართულ პოლიტიკას ალბათ არც ამ საერთაშორისოდ აღიარებული რეფერენდუმის შედეგთა უგულებელყოფა, მართებს იმ მიზეზით, რომ ის ყოფილი ხელისუფლების დროს გაიმართა.

შემაშფოთებელია ბატონ არძინბას ნახევრად კონფიდენციალური ვიზიტი თურქეთში, რომელიც საქართველოში თურქეთის პრემიერის ოფიციალურ ვიზიტს უსწრებდა წინ. როგორც აფხაზეთში გამომავალი თურქულენოვანი ჟურნალიდან გახდა ცნობილი, აფხაზეთის ლიდერმა ერთ-ერთ საკითხად თურქეთიდან აფხაზეთში მოსახლეობის დაბრუნების პრობლემაც დააყენა. ეს ვიზიტიც, ისევე, როგორც უკანასკნელ ხანს ერთობ გააქტიურებული აფხაზეთ-თურქეთის ურთიერთობანი, საქართველოს სრული უგულებელყოფითა და გვერდის ავლით მიმდინარეობდა. არძინბა, თუმცაღა მიიპატიჟეს, დემირელის ოფიციალური ვიზიტის დროს თბილისში არ ჩამობრძანდა.

იმედი ვიქონიოთ, რომ თურქეთი 30 ივლისს თბილისში დადებული ჩვენთვის ერთობ კომპრომისული ხელშეკრულების შემდეგ, მეტის გულისხმიერებით მოეკიდება მასთან დაკავშირებულ საქართველოსათვის მწვავე და მტკივნეულ საკითხებს. თუმცა ისტორიამ ისეთი შემთხვევები უფრო მრავლად იცის, როდესაც დიდი სახელმწიფოები მხოლოდ მაშინ ითვალისწინებდნენ მცირე ქვეყანათა ინტერესებს, როდესაც ეს უკანასკნელნი მეტი პრინციპულობით იცავდნენ საკუთარ პოზიციებს.

ზემოთ პოლიტიკაში მიზნისა და საშუალებების ურთიერთდამოკიდებულებაზე გვქონდა საუბარი. ეს მეტისმეტად რთული პრობლემაა და მომავალშიც არაერთგზის არაერთ კონკრეტულ სიტუაციაში დადგება იგი მწვავედ. თუნდაც მესხეთელ თურქთა პრობლემა. უკიდურესად შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ეს ხალხი, „ადამიანის უფლებათა“ პოლიტიკურ ტერმინს რომ თავი დავანებოთ, ყველა კეთილი ნების ადამიანთაგან მართლაც იმსახურებს გულისხმიერ და ჰუმანურ დამოკიდებულებას. მაგრამ, როდესაც საქმე არაქართული მენტალიტეტისა და ცნობიერების მქონე ასიათასობით ადამიანის საქართველოში ჩამოსახლების პროცესის დაწყებას ეხება, მეტი სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ქვეყნის უზენაეს ეროვნულ თუ სახელმწიფოებრივ ინტერესთა რეალიზაცია კანონიერების, საერთაშორისო სამართლისა თუ ზოგადჰუმანიტარულ პრინციპთა სრული დაცვით უნდა განხორციელდეს და არა პირიქით. ამ შემთხვევაში, თუ საქართველოს სახელმწიფო ინტერესები სამართლებრივ მექანიზმებსა და ზოგად ჰუმანიტარულ განწყობილებებს დაუქვემდებარდა, რეალურად არსებობს იმის საშიშროება, რომ როგორც ამ ხალხის, ისე საქართველოს მთელი მოსახლეობის გაუსაძლისი ცხოვრება კიდევ უფრო კოშმარული და აუტანელი გახდეს. პოლიტიკურ რეალიათა გაუთვალისწინებლობის გამო ყოფიერების უმკაცრესმა კანონებმა შესაძლოა ფსევდოჰუმანისტურად აქციოს ამ მართლაც ძალზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ხალხის დახმარების გულწრფელი სურვილები.

ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 28 ოქტომბრის არჩევნებამდე მუშაობდნენ ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციები. 1989 წელს შეიქმნა კიდევაც დოკუმენტი, რომელსაც ამ ხალხის ყველაზე რეაქციული ფრთის ლიდერი ბატონი სარვაროვი აწერს ხელს და, რომელშიაც აღიარებულია, რომ მესხეთელ თურქთა საქართველოში დაბრუნება თავისუფალი საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებული პრეროგატივა იქნება.

11.VIII.1992.

P. S. ამავე წერილში გვინდოდა მოკლედ განგვეხილა ცხინვალის რეგიონსა და რუსეთ-საქართველოს მომავალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ 14 აგვისტოს აფხაზეთში დაწყებულმა პროცესებმა ხელი შეგვიშალა (სოხუმში გამგზავრება მოგვიხდა 5 დღით), ამასთან, როგორც სამაჩაბლოს, ისე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი უშუალო კავშირშია დღეს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებთან. ამის შესახებ ჩვენს მოსაზრებებს ფართო საზოგადოებრიობას უახლოეს ხანში გავაცნობთ. აქ გამოთქმული მოსაზრებანი თეზისების სახით „ქარტია-91-ის“ პოლიტიკურ დეკლარაციაშიც აისახა (იხ. „საქ. რესპუბლ.“ — 18.VIII.92). ამასთან, ამ საკითხებზე საუბრები გვქონდა როგორც აფხაზეთის, ისე საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელობებთან.

თ. ჰ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

სურსათი — აფხაზეთის მშრომელებს

დღეს მთელი საქართველოს გულისყური აფხაზეთისკენ არის მიპყრობილი. იქ მიმდინარე ბრძოლები კიდევ უფრო ართულებს და აძნელებს საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მშრომელთა სურსათით მომარაგებას. რა კეთდება და გაკეთდება იქ უახლოეს დღეებში მდგომარეობის შეძლებისდაგვარად გამოსწორებისთვის? — ამ კითხვაზე ვთხოვეთ მოკლედ ეპასუხა საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრის პირველ მოადგილეს **ავთანდილ წილოსანს**.

— ჩვენმა სამინისტრომ, — გვითხრა მან, — უკვე დაიწყო აფხაზეთის მშრომელთათვის სურსათის თვითმფრინავებით მიწოდება. კვირის მანძილზე ყოველდღიურად გაიგზავნება 4 მილიონ 100 ათასი მანეთის პროდუქცია — კარაქი, შაქარი, ხორცისა და თევზის კონსერვი, შედედებული რძე, ბრინჯი, მაკარონი და სხვა.

ამ დღეებში თბილისის ვაჭრობის სამმართველომ სოხუმში ჰუმანიტარული დახმარების სახით გაგზავნა 1.500 ათასი მანეთის სურსათი. ამას გარდა ჩვენს სამინისტროს განზრახული აქვს აფხაზეთის მოსახლეობას გაუგზავნოს დამატებით 10 მილიონამდე მანეთის საქონელი.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს სამინისტროს საბიუჯეტო ორგანიზაციების, ლტოლვილებისა და „ცხელ წერტილებში" მოყოლილი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკმაო რეზერვი აქვს.

შოთა მაჭარაშვილი.

მთებში ყველა ბილიკი ჩაკეტილია

ლაგოდეხის რაიონის მშრომელებში დიდი აღშფოთება გამოიწვია მთიელ ხალხთა კონფედერაციის მოხალისეების პირშეკვრამ აფხაზ ექსტრემისტებთან. რაიონის სოფლებსა და წარმოებადაწესებულებებში იმართება მიტინგები, მოხალისეთა რაზმებში ბევრი ახალგაზრდა და ჯარგამოვლილი ვაჟკაცი ეწერება, ახლა, უწინარესად, კავკასიონის მთებში დაღესტნიდან გადმომავალი ყოველი ბილიკი უნდა ჩაიკეტოს. ამიტომ, შეიქმნა შტაბი, რომელსაც რაიონის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე იოსებ გოზალიშვილი ჩაუდგა სათავეში.

რაიონის მრავალმა მონადირემ — ისინი კი 400-ზე მეტნი არიან, — ჩინებულად იცის და აკონტროლებს კიდეც მთის ყოველ ბილიკს. ამასთან, ყველა სოფელში შეიქმნა მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებელი ჯგუფები. ისინი არავის მისცემენ საზღვრის დარღვევის უფლებას.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბელაქნის რაიონის მცხოვრებლებმაც დააწესეს მთის ბილიკებზე კონტროლი.

რაღა თქმა უნდა, ლაგოდეხელები ყველაფერს აკეთებენ იმისთვისაც, რომ წლის მოსავალს უპატრონონ, მინდვრად არ დარჩეს არც ერთი ჰექტარი მოუმკელი პურის ყანა.

გიორგი ვახტანგაძე.

ამაზე ამაზრზენი რა უნდა იყოს!

ზაურ ალადაშვილი — ჰუმანიტარული ასოციაციის „კათარზისის" პრეზიდენტი, 19 აგვისტოს, დაახლოებით საღამოს რვის ნახევარზე, თბილისში, კონსტიტუციის ქუჩიდან გაიტაცეს და გამოსასყიდად მის ოჯახს 6 მილიონი მანეთი სთხოვეს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლების მიერ განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად 25 აგვისტოს, 19 საათსა და 25 წუთზე, თბილისში, დავითაშვილის ქუჩაზე დააკავეს დავით ზურაბის ძე ნაკანი, დაბადებული 1967 წელს, მესტიის სპორტსკოლის მწვრთნელი, ამირან გივის ძე გაზდელიანი, დაბადებული 1972 წელს, ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, და როლანდ ბორისის ძე ლიპარტელიანი, 1970 წელს დაბადებული, უმუშევარი.

ზაურ ალადაშვილი გათავისუფლებულია.

საქმეს იძიებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს საგამომძიებლო განყოფილება.

ეს ჩვენი საქართველოა!

საქართველოს სამხედრო გზაზე.

გონდო დადვაძის ფოტო.

მოგესალმებათ „მთიელი"

● **ქართული** ჟურნალ-გაზეთების ოჯახს კიდევ ერთი გამოცემა შეემატა. გამოვიდა საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების ყოველკვირეული გაზეთი „მთიელი".

გაზეთის პირველ ნომერში არაერთი საინტერესო მასალა ქვეყნდება, რომელთაც სიამოვნებით გაეცნობიან არა მარტო მთიელები.

გაზეთის მთავარი რედაქტორია მუხო არაბული.

დედოფლის-წყაროს რაიონი

●

ყაზარმების მაგივრად დისნეილენდი?

ახლა ჩვენში ზოგ-ზოგს არა სჯერა, რომ რუსეთის ჯარის ნაწილები თანდათან მიდიან საქართველოდან. ურწმუნოებს შეუძლიათ ნახონ ერთ დროს საბჭოთა კავშირის გასაიდუმლოებული სამხედრო შენაერთების ადგილსამყოფელი შირაქსა და დედოფლისწყაროში და დარწმუნდებიან, რომ უმეტესობა წასულია. ჯერ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნებათა ჯარისკაცები და ოფიცრები გაიწვიეს. სულ ახლახანს უკრაინელები წავიდნენ; ამჯერად რუსების რიგიც მოვიდა და მიდიან. ქ. დედოფლისწყაროს ცენტრში დიდი შენაერთიდან, რომლის ყაზარმებსაც რამდენიმე ჰექტარი უჭირავს, ძალზე მცირერიცხოვანი სამხედრო ნაწილიღაა დარჩენილი. ერთი ეგ არის, წასვლის წინ ერთობ აზიანებენ ნაგებობებს, ძარცვავენ და ამტვრევენ სამხედრო ტექნიკას, მაგრამ მაინც მიდიან...

დედოფლისწყაროელი მასწავლებელი მწვანეთა ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერი თეზრო აფციაური ჟურნალისტ თინა ფავლენიშვილთან საუბარში, არც მეტი, არც ნაკლები ამბობს: სამხედრო ყაზარმების ადგილზე ქალაქის ცენტრში მოეწყოს დედოფლისწყაროს მიკროდისნეილენდი. ღმერთმა უსმინოს...

კახეთის ყანების ბარაქა

რაიონის სოფლების საზოგადოებრივმა მეურნეობებმა — იჯარულმა; გლეხურმა გაერთიანებებმა სახელმწიფოს დიდძალი ხორბალი მიჰყიდეს. აქ იმდენ მარცვლეულს ამზადებენ, რამდენიც კომუნისტების ხანაში არც ერთ წელიწადს არ დაუმზადებიათ. ეს იმიტომ, რომ წლეულს ხორბალს სახელმწიფო ყიდულობს იმის მიხედვით, თუ რა დაუჯდა მემინდვრეს ტონა ხორბალი. ყოველ ტონა მარცვალში სახელმწიფო 8-10 ათას მანეთს იხდის. ამით კმაყოფილი არიან მემინდვრე მექანიზატორებიც და სახელმწიფო დავალებაც გადამეტებით შესრულდა, მიყიდულია 5 ათას ტონაზე მეტი ხორბალი.

რაიონის მშრომელთა უმეტესობას ხელში იარაღის ნაცვლად თოხი და ბარი უჭირავს, ტრაქტორსა და კომბაინს მართავენ. მინდვრებიდან ვენახებსა და ბაღებში, ფერმებში გადაინაცვლეს, წლეულს ყურძნის უხვ მოსავალს მოიწევენ.

და თუ საქართველოს დაჭირდა ქუდზე კაცი გამოვა სამშობლოს დასაცავად.

თამარი — საქართველოს ნათელი რწმენა

რაიონის კულტურის სახლში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე, რომლის დევიზი იყო „თამარ, საქართველოს ნათელო რწმენავ!" აშკარად გამოიკვეთა, რომ ადამიანებს ახლა, ამ ეტაპზე, სჭირდებათ სულიერი საზრდო, სიმშვიდე და, რაც მთავარია, შრომა. შესრულდა საგალობელი „თამარ მეფის ტროპარი", ლოცვა „დიდი დედოფალი თამარი"

საღამოს წამყვანმა ცირო მარტიაშვილმა ჩვეული მომხიბლაობით მიმართა დამსწრეთ: „გულს ვეღარ შემზარავს ჩემს წინაშე აღმართული შავი აჩრდილი სიკვდილისა; უკვდავია ერი ჩემი, სანამ უკვდავობს თვალშეუდგამი შენი სახე".

ასეთი კონცერტ-საღამოები რაიონის მოსახლეობას სულიერად ამშვიდებს და შრომის სურვილს უწყობს ხელს.

ვახტანგ გოზალიშვილი.

ჰიგიენის მოყვარული ქურდი

ამას წინათ, ღამით გატეხეს ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთის ქალაქვაჭრობის საწყობი, საიდანაც წაიღეს 9700 ყუთი სარეცხი ფხვნილი „ლოტოსი".

ზესტაფონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ოპერატიულ-სამძებრო სამსახურმა ცხელ კვალზე დააკავა ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხში მცხოვრები მალხაზ ჩიხელიძე, რომელმაც აღიარა ჩადენილი დანაშაული.

ჰენრი შარიქაძე.

Barcelona'92

ქართული სპორტის ოლიმპიური სიმაღლე

რომანი

ელგუჯა ბერიშვილი,
„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური კორესპონდენტი,
„კავკასიის კონცერნის" მივლინებით.

ზაფხულის XXV ოლიმპიური თამაშები ისტორიის კუთვნილებად იქცა — ორ კვირაზე მეტია, რაც დასრულდა პლანეტის უდიდესი სპორტული ასპარეზობა, განაწილდა ყველა მედალი, ქულა და ადგილი. ბარსელონა დაემშვიდობა ოლიმპიელებს და ოლიმპიადის უთვალავ სტუმარს, მაგრამ სპორტის გულშემატკივრები არაერთხელ გაიხსენებენ ოლიმპიადის პერიპეტიებს, კიდევ არაერთი წერილი, ტელე თუ რადიოგადაცემა მიეძღვნება ბარსელონის სპორტულ ბატალიებს. დადგა ოლიმპიადის შედეგების განსჯისა და შეჯამების დრო. სტატია, რომელსაც დღეს გთავაზობთ, რომ იტყვიან, ოლიმპიადის ცხელ კვალზე იწერება და, ცხადია, მას ყოვლისმომცველი ანალიზის პრეტენზია ვერ ექნება. ჩვენი მიზანი, შედარებით მოკრძალებულია: მკითხველთან ერთად, კიდევ ერთხელ მოვავლოთ თვალი ოლიმპიურ ბარსელონას და ზოგიერთ საგულისხმო მომენტზე შევაჩეროთ ყურადღება.

„ბარსელონის ოლიმპიური თამაშები საუკეთესო იყო ოლიმპიადების ისტორიაში" — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის ამ სიტყვებს, ოლიმპიადის საზეიმო დახურვის ცერემონიალზე ნათქვამს, ალბათ, ბევრი თანამოაზრე ეყოლება. ასეთები მრავლად იქნებიან ოლიმპიადის უშუალო თვითმხილველთა და იმათ შორისაც, ვინც ტელეეკრანზე ნახა ეს შთამბეჭდავი სპორტული შოუ. როცა საქმე შეფასებაზე მიდგება, საბოლოო ვერდიქტის გამოსატანად, როგორც წესი, მრავალ მომენტს ითვალისწინებენ. უწინარესად — ოლიმპიადის გახსნა-დახურვის ცერემონიალს, შეჯიბრებათა ორგანიზაციულ მხარეს, ოლიმპიელთა საცხოვრებელ და სასპარეზო პირობებს, უსაფრთხოებას, სატრანსპორტო მომსახურებას, ინფორმაციულ უზრუნველყოფას, ტექნიკურ აღჭურვილობას, კულტურულ პროგრამას... რა კრიტერიუმითაც უნდა მიუდგეთ, ნაკლს ძნელად თუ იპოვით. ბარსელონა მართლაც ღირსეული, შეუდარებელი მასპინძელი გამოდგა და ამაზე დღეს არავინ დავობს.

• • •

25 ივლისიდან 9 აგვისტომდე გიზგიზებდა ოლიმპიური ცეცხლი მონჟუიკის სტადიონზე. ეს იყო დაუვიწყარი თექვსმეტი დღე, სპორტული ქინით, დინამიკითა და დრამატიზმით აღსავსე. დილის რვა საათიდან გვიან საღამომდე გრძელდებოდა ტურნირები 25 ოლიმპიურ და 3 საჩვენებელ სახეობაში, რომლებშიც მსოფლიოს 171 ქვეყნის 10631-მა სპორტსმენმა იასპარეზა, მათ შორის 7602-მა კაცმა (საშუალო ასაკი — 25 წელი) და 3029 ქალმა (საშუალო ასაკი — 23 წელი). გათამაშდა მედლების 257 კომპლექტი, რომელიც 63 ქვეყნის სპორტსმენებმა გაინაწილეს. შედარებისთვის: ოთხი წლის წინ, სეულში 160 ქვეყნის 9421 ოლიმპიელი გამოვიდა; 23 სახეობა, მედლების 237 კომპლექტი. პრიზიორთა შორის 52 ქვეყნის წარმომადგენელი მოხვდა. ადრინდელ ოლიმპიადებში ეს მაჩვენებლები უფრო დაბალია. ერთი სიტყვით, ბარსელონის ოლიმპიური თამაშები, ყველა თვალსაზრისით, რეკორდული გამოდგა. მაგრამ მედალს, როგორც ცნობილია, ორი მხარე აქვს. დღეს ბევრს ლაპარაკობენ, ასე ვთქვათ, ოლიმპიური გიგანტომანიის თაობაზე, იმაზე, რომ ოლიმპიური პროგრამა უსაშველოდ გაიზარდა და ამ პროცესს ბოლო არ უჩანს. პრობლემა მართლაც რომ აქტუალურია, თუმცა, როგორც ირკვევა, ახლო მომავალში, სერიოზული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ატლანტის ოლიმპიადა არანაკლებ „დატვირთული" იქნება. ეს ხაზგასმით ითქვა ბარსელონაში, დასკვნით პრესკონფერენციაზე, თუმცა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, თუ ამას სესია გადაწყვეტს, არ გამორიცხავენ, რომ 2000 წლისთვის ბევრი რამ გადაისინჯება.

ხვალისა ხვალ გამოჩნდება, ჩვენ კი დღევანდელ და გუშინდელ ამბებს მივუბრუნდეთ. ბარსელონის ოლიმპიადა მარტო ოლიმპიელთა სიმრავლით და პროგრამის მრავალფეროვნებით არ ყოფილა გამორჩეული. ოლიმპიურ თამაშებში პროფესიონალ სპორტსმენთა გამოჩენამ, რა გასაკვირია, მნიშვნელოვნად აამაღლა შეჯიბრებათა რეიტინგი; კალათბურთისა და ჩოგბურთის ვარსკვლავთა გარეშე ოლიმპიადა უთუოდ ბევრს დაკარგავდა. თავის დროზე, როცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა პროფესიონალებს მწვანე შუქი აუნთო, ბევრმა ეს ფორმალურ აქტად მიიჩნია, რადგან, მოგეხსენებათ, მოყვარულებსა და პროფესიონალებს შორის, კარგა ხანია, ზღვარი თითქმის წაიშალა. გამონაკლისად, ისევ და ისევ კალათბურთი რჩება, სადაც ამერიკელ ჯადოქართა უპირატესობა ასე საგრძნობი და აშკარა იყო. ამერიკელებმა საოცრად იოლად გაიმარჯვეს კალათბურთელთა ტურნირში, მაგრამ ვერ გაიმარჯვეს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში. არადა, მათი ტრადიციული მეტოქეები საბჭოთა კავშირისა და გერმანიის სპორტსმენები „არატრადიციულად" ჩაებნენ ოლიმპიადაში; საბჭოთა კავშირის ადგილი, მოგეხსენებათ, ეგრეთ წოდებულმა გაერთიანებულმა გუნდმა დაიკავა, გერმანელებს კი 1964 წლის შემდეგ პირველად მიეცათ შესაძლებლობა, მართლაც გაერთიანებული ნაკრები გამოეყვანათ ოლიმპიადაზე.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში, პირველი ათეული ასე გამოიყურება (ცხრილი შედგენილია მედლების ხარისხობრივი და არა რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით):

	ო.	ვ.	ბ.	სულ
1. გაერთ. გუნ.	45	38	29	112
2. აშშ	37	34	37	108
3. გერმანია	33	21	28	82
4. ჩინეთი	16	22	16	54
5. კუბა	14	6	11	31
6. ესპანეთი	13	7	2	22
7. სამხ. კორეა	12	5	12	29
8. უნგრეთი	11	12	7	30
9. საფრანგეთი	8	5	16	29
10. ავსტრალია	7	9	11	27

ყოფილი საბჭოთა კავშირის აწ უკვე სუვერენულ, გაეროს მიერ აღიარებულ რესპუბლიკებს ცალკე ჩათვლა რომ მიეღოთ, ცხადია, ამ ცხრილს სულ სხვა სახე ექნებოდა. გაერთიანებული გუნდის მონაგარი რესპუბლიკების მიხედვით ასე ნაწილდება (პირად შეჯიბრებაში მოპოვებული მედლები):

	ო.	ვ.	ბ.	სულ
1. რუსეთი	17	16	12	45
2. ბელორუსია	9	4	2	15
3. უკრაინა	4	11	4	19
4. საქართველო	3	0	3	6
5. სომხეთი	3	0	0	3
6. აზერბაიჯანი	1	0	1	2
7. მოლდოვეთი	1	0	1	2
8. ტაჯიკეთი	1	0	0	1
9. უზბეკეთი	0	2	0	2
10. ყაზახეთი	0	0	2	2
11. თურქმენეთი	0	0	0	0
12. ყირგიზეთი	0	0	0	0

პირად და გუნდურ შეჯიბრებათა ჯამში რუსეთმა 131 მედალი მიიღო, უკრაინამ — 38, ბელორუსიამ — 29, საქართველომ — 8, მოლდოვეთმა — 5, უზბეკეთმა — 6, ყაზახეთმა — 5, სომხეთმა — 3, აზერბაიჯანმა — 3, ტაჯიკეთმა — 1, ყირგიზეთმა —1, თურქმენეთმა — 0.

ახლა ისიც ვნახოთ, ვის რამდენი ოლიმპიელი ჰყავდა: რუსეთი — 274, უკრაინა — 80, ბელორუსია — 54, ყაზახეთი — 19, უზბეკეთი — 17, საქართველო — 12, მოლდოვეთი — 10, აზერბაიჯანი — 5, სომხეთი — 4, ტაჯიკეთი — 3, ყირგიზეთი — 3, თურქმენეთი — 1. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ბარსელონაში ყველაზე მეტი სპორტსმენი ჩამოიყვანეს ამერიკელებმა — 607, სომალისა და ამერიკის სამოას დელეგაციები კი სულ 3-3 ოლიმპიელს ითვლიდა.

• • •

თბილისი — მოსკოვი — მადრიდი — ბარსელონა. ამ მარშრუტით ჩავედით ოლიმპიადის დედაქალაქში. პატარძალივით მორთულ აეროპორტში „ლელოს" რედაქტორთან, თენგიზ გაჩეჩილაძესთან ერთად დაგვხვდა ახალგაზრდა „თბილისელი ბარსელონელი" დავით ღონღაძე, რომელმაც ქართველ ჟურნალისტებს (და არა მარტო ჩვენ) ოლიმპიადის დღეებში ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია... დათომ თავისი „ვოლკსვაგენით" უმალ ქალაქის ცენტრისკენ — ესპანეთის მოედნისკენ გაგვაქანა, რათა ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალის დაწყებამდე აკრედიტაციის გავლა და დაბინავება მოგვესწრო. ეგ კი არა, იმ დღეს პრესცენტრის დათვალიერებაც მოვასწარით და ვიდრე ოლიმპიურ სტადიონს მივადგებოდით, „მონჟუიკის ოლიმპიურ წრეზეც" შეგვექმნა გარკვეული წარმოდგენა. სწორედ აქ არის განლაგებული მთავარი ოლიმპიური ბაზები, აქ იასპარეზეს მოჭიდავეებმა, ტანმოვარჯიშეებმა, მძლეოსნებმა, მოცურავეებმა, ფრენბურთელებმა, ხელბურთელებმა, წყალბურთელებმა, სინქრონული ცურვის ოსტატებმა... მონჟუიკი ზემოდან დაჰყურებს ქალაქს და ამით თითქოს ხაზს უსვამს თავის სიდიადეს. როცა აღმართს აათავებთ და უკან მოიხედავთ, თქვენს თვალწინ დიდებული სანახაობა იშლება. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ღამის პანორამა: უნიკალური არქიტექტურული ძეგლებით გარშემორტყმული, ათასფრად განათებული ესპანეთის მოედანი, მუსიკალურ-ფერადოვანი შადრევანი და სასეირნოდ გამოსული ზღვა ხალხი. ოლიმპიადის დღეებში ესპანეთის მოედანი, ასე ვთქვათ, გონებრივი ცენტრის ფუნქციასაც ასრულებდა — მთელი დატვირთვით მუშაობდა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შტაბი, „ოფისინა ოლიმპიკა". მე არ ვყოფილვარ ამ შენობაში, მაგრამ მისი გამგებელი, ბატონი პასკუალ მარაგალი არაერთხელ გვეახლა ჟურნალისტებს, რათა დაწვრილებით მოეთხრო ორგანიზატორთა საქმიანობაზე და პრესის მუშაკთა აზრიც მოესმინა. მარაგალი ერთობ პოპულარული პიროვნებაა და — არა მარტო ბარსელონაში; ამ ცოტა ხნის წინ, ევროპის ქალაქების საბჭოს თავმჯდომარედ აურჩევიათ და ეს ფაქტი ბევრ რამეზე მეტყველებს. მარაგალის პოპულარობა, ცხადია, უშუალოდ უკავშირდება მის საქმიანობას „ბარსელონა-92"-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე. ეს კომიტეტი 1987 წელს შეიქმნა და მთელი ხუთი წელი იღვაწა, რათა ჩვენთვის თექვსმეტი დაუვიწყარი დღე ეჩუქებინა. მაგრამ ბარსელონა გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ ოციან წლებში ჩაება ოლიმპიურ მარათონში და იქიდან მოყოლებული, ხუთჯერ სცადა ბედი. მეხუთე ცდა, ბოლოს და ბოლოს, იღბლიანი გამოდგა — 1986 წელს, სოკ-ის სესიამ ბარსელონის კანდიდატურას დაუჭირა მხარი. კატალონიის დედაქალაქი XXV ოლიმპიადის დედაქალაქად გამოცხადდა. „კატალონია ესპანეთი არ არის" — ასეთი ლოზუნგებით შეხვდნენ ბარსელონაში ოლიმპიადის სტუმრებს, მაგრამ საქმე ამის იქით არ წასულა — მოსალოდნელმა პოლიტიკურმა ექსცესებმა გვერდი აუარა ბარსელონას. ყოველ შემთხვევაში, აქტიური პოლიტიკური გამოსვლებისა და ტერორიზმის ფაქტებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ადგილობრივი პოლიციის ძალისხმევამ და ხუან კარლოსის ავტორიტეტმა, ეტყობა, თავისი ქნა. ესპანეთის მეფე დედოფლითურთ ოლიმპიურ შეჯიბრებათა ხშირი სტუმარი იყო და სადაც გამოჩნდებოდა, ტაში და ყურადღება არ მოჰკლებია. ჩვენ არაერთხელ გავხდით ამის უშუალო მოწმენი, ხან კორტზე, ხან საცურაო აუზში, ოთხჯერ თუ ხუთჯერ ვიხილეთ „ცოცხალი" მეფე-დედოფალი და, თუმცა-კი დიდი სურვილი გვქონდა, სამახსოვრო ფოტოს გადაღება ვერ შევბედეთ. რაც შეეხება ბატონ ჯანსულ ბაგრატიონს, საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილეს, მოსარიდებელი აბა რა ჰქონდა: სურათიც გადაიღეს, სამეფო საქმეებზეც წაისაუბრეს და „ვიზიტკებიც" გაცვალეს. ერთი რამ მენიშნა: ტრიბუნაზე მეფის გამოჩენა და ესპანელი სპორტსმენის გამარჯვება ერთი იყო. ესპანეთისა და საქართველოს სპორტული ინტერესები ერთადერთხელ და მაშინ დაუპირისპირდა ერთმანეთს, როცა მოკრივეთა ტურნირის ნახევარფინალში რამაზ ფალიანი და ფაუსტინო რეიესი დაწყვილდნენ. მეფე, ცხადია, დარბაზში იჯდა და რეიესს გამარჯვების (საეჭვო!) ნიშნად ხელი რომ აუწიეს, აღტაცება არ დაუმალავს. ეტყობა, ბატონმა ხუანმა ფინალზე მოსვლა ვერ მოახერხა; ფინალში ესპანელი პირწმინდად დამარცხდა და ოქროს მედალთან ერთად შეპირებული მილიონი დოლარიც დაკარგა. ფალიანს უკვე არაფერი ჰქონდა დასაკარგი — მისთვის ფორტუნამ მხოლოდ „ბრინჯაო" გაიმეტა.

• • •

რამაზ ფალიანმა წერტილი დაუსვა საქართველოს ოლიმპიელთა გამოსვლას ბარსელონაში. სწორედ მას მოჰქონდა საქართველოს დროშა დახურვის ცერემონიალზე. ეს მოხდა 9 აგვისტოს, მაგრამ მანამდე იყო 25 ივლისი. ოლიმპიადების ისტორიაში საქართველოს დროშა პირველად მაშინ გამოჩნდა ოლიმპიურ სტადიონზე. ეს იყო დაუვიწყარი მომენტი, იმის მომასწავებელი და დასტური, რომ საქართველო დიდი სპორტული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა. საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელებმა მედროშეობა ქუთაისელ ძიუდოისტს დავით ხახალეიშვილს მიანდეს. არც შემცდარან. ორი დღის შემდეგ, ხახალეიშვილმა იწყინვალედ იჭიდავა და მძიმე წონაში ოქროს მედალს დაეუფლა. ხახალეიშვილი ხუთჯერ გამოვიდა ოლიმპიურ ტატამზე და ყველა ბრძოლა დამაჯერებლად მოიგო. 1 წუთი და 4 წამი — ზუსტად ამდენი დრო დასჭირდა მას მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის ნაიავა ოგავას დასამარცხებლად. ფინალი რომ დამთავრდა, მთელი დარბაზი ფეხზე დადგა და ოვაცია მოუწყო ქართველ ჩემპიონს, რომელმაც თავდაყირა დააყენა ყველა პროგნოზი და ბეჭებზე დასცა იაპონიის ნაკრების ლიდერი. არანაკლებ შთამბეჭდავი იყო ცხინვალელი ძალოსნის, კახი კახიაშვილის გამარჯვება. ყველაფერი ბოლო ცდამ გადაწყვიტა, როცა კახიმ აკვრაში 235 კგ (მსოფლიო რეკორდის გამეორება) დაძლია და, რომ იტყვიან, ოქროს მედალი ხელიდან გამოსტაცა ალმა-ათელ ალექსანდრე სირცოვს. ბარსელონის ოლიმპიადა იღბლიანი გამოდგა მსოფლიო ოთხგზის ჩემპიონის ლერი ხაბელოვისათვის. თბილისელი ფალავანი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირის ფავორიტი იყო, ფავორიტის წინააღმდეგ კი ყველა თავგამოდებით იბრძვის. ხაბელოვმა შანსი არავის დაუტოვა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, სეულის ოლიმპიადის ტრიუმფატორი დავით გობეჯიშვილი კი მხოლოდ მესამე იყო. ბრინჯაოს მედალი, რა თქმა უნდა, თავისთავად ურიგო შედეგი არ არის, მაგრამ, რა დასამალია, გობეჯიშვილისათვის მხოლოდ ჩემპიონობა „გვეჭეტებოდა". იღბლიანი წილისყრის შემთხვევაში, (ერთ ჯგუფში მოხვდნენ გობეჯიშვილი, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ჩემპიონი ბრუს ბაუმგარტნერი და მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი ანდრეას შროდერი) ადგილები, ალბათ, სხვაგვარად განაწილდებოდა, მაგრამ ყველაფერს წილისყრას ნუ გადავაბრალებთ. ცხადია, რომ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, გობეჯიშვილი რიგიანად ვერ მოემზადა ოლიმპიადისთვის.

გეხსომებათ: რამდენიმე თვის წინ, საერთოდ პრობლემური ჩანდა საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში. ჩვენი წარმომადგენლები, ცნობილ მიზეზთა გამო, შეიძლება ითქვას, სპორტულ იზოლაციაში აღმოჩნდნენ და ამ მომენტის გაუთვალისწინებლობა არასწორი იქნებოდა. სხვა საკითხია, რამდენად გამართლებული და მიზანშეწონილი იყო 1991 წლის 10 აპრილს გადადგმული ნაბიჯი, როცა მიღებულ იქნა ცალმხრივი გადაწყვეტილება საკავშირო შეჯიბრებათა ბოიკოტირების თაობაზე. პოლიტიკურ კატაკლიზმებს სპორტიც ვერ გადაურჩა და ამაში უცნაური არაფერია. მიზეზთა ჩხრეკა, ალბათ, კარგს არაფერს მოგვიტანს; ჩავთვალოთ, რომ ქართულმა სპორტმა მძიმე პერიოდი უკვე გამოიარა და დიდ შარაგზაზე გავიდა. ფაქტობრივად, უკვე დასრულდა ჩვენი სპორტული ორგანიზაციების საერთაშორისო აღიარების პროცესი, რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალება გვეძლევა, დამოუკიდებლად გამოვიდეთ ყველა ოფიციალურ შეჯიბრებაზე. ქართული სპორტის მესვეურთ, დიდი ტვირთი დააწვათ და, საფიქრებელია, გრძნობენ ამ ტვირთის სიმძიმეს. საკამათო არ უნდა იყოს: ახალ რეალობათა გათვალისწინებით, აუცილებელია სერიოზული სტრუქტურული ცვლილებები, რათა შეუფერხებლად იაროს ქართული სპორტის მატარებელმა.

• • •

თორმეტი ოლიმპიელი და რვა ოლიმპიური მედალი — სამი „ოქრო", ხუთი „ბრინჯაო". ბრწყინვალე შედეგი, ქართული სპორტის უშრეტი პოტენციის დასტური.

შეგახსენებთ: 108 ქვეყნის წარმომადგენლები უმედლოდ გაემგზავრნენ ბარსელონიდან.

კატალონიის დედაქალაქი დაემშვიდობა ოლიმპიადას.

წინ ატლანტაა.

ბარსელონა-თბილისი.

რეკლამა ● განცხადება

თქვენ გახდებით კინო-ვიდეო ბიზნესის დიპლომირებული მენეჯერი, თუ გაქვთ 9-11 კლასის განათლება

თბილისის კინო-ვიდეო ბიზნესის კოლეჯი

აცხადებს მიღებას 1992-1993 სასწავლო წლისათვის ქართული და რუსული განყოფილებების დღისა და საღამოს სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. კინომოწყობილობათა და ვიდეოტექნიკის ექსპლუატაცია, 2. კინოწარმოების ეკონომიკა და მართვა; 3. კინო-ვიდეოქსელისა და კინო-ვიდეოგაქირავების ეკონომიკა და მართვა. 4. სამეწარმეო საქმიანობა. 5. კომერციული საქმიანობა, 6. საბუღალტრო აღრიცხვა ბიზნესის სფეროში.

ზოგადსაგანმანათლებლო საგნების გარდა, თქვენ შეისწავლით: საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებს, კინო-ვიდეობაზრისა და რეკლამის ორგანიზაციას, კინოორგანიზაციების საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას, უცხო ენას, ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიას კინო-ვიდეოტელეფილმების შედევრების დემონსტრირებით. დაეუფლებით კომპიუტერულ ტექნიკას. შეისწავლით ფილმების წარმოების ტექნოლოგიას, კინო-ვიდეო ტექნიკას, დაესწრებით კინოფესტივალებს, კინობაზრობებს, დაეუფლებით კინო-ბიზნესის საიდუმლოებას და კინომენეჯერის ხელოვნებას.

წარმატებით სწავლისას თქვენ გაივლით სტაჟირებას მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში. სწავლის წარჩინებულნი მიიღებენ სტიპენდიას.

კოლეჯის I კურსზე მიიღებიან 9-კლასდამთავრებულები, ხოლო II კურსზე საშუალო განათლების მქონე პირები და მეორე სპეციალობის დაუფლების მსურველნი, მათი ასაკის მიუხედავად. სწავლის ხანგრძლივობა 9-კლასდამთავრებულთათვის 2 წელი და 10 თვეა, საშუალო განათლების მქონე პირთათვის — 1 წელი და 10 თვე, — „კინომოწყობილობათა და ვიდეოტექნიკის ექსპლუატაციაზე" შემსვლელთათვის, სწავლის ხანგრძლივობა შესაბამისად 3 წელი და 10 თვე და 2 წელი და 10 თვეა. ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგად.

კოლეჯში სწავლა ფასიანია, წლიური ფასი ნაღდ ანგარიშზე — 6900 მანეთია, ორგანიზაციიდან გადარიცხვით — 7900 მანეთი. საბუთების შემოტანისას აბიტურიენტი იხდის 150 მანეთს გასაუბრების ორგანიზაციისათვის.

საბუთები მიიღება 20 სექტემბრამდე ყოველდღე (გარდა კვირისა) 11-დან 16 საათამდე ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი 164, კინოსტუდია „მემატიანე", ადმინისტრაციული კორპუსი, I სართული (ძველი კინოსტუდია). ტელეფონი: 34-29-58; 35-05-57.

გიწვევთ „კამაზი"

ამერიკული წარმოების მძლავრი სადიზელო ძრავების და ამ ძრავებით დაკომპლექტებული „კამაზის" მარკის მანქანების შეძენის მსურველთა საყურადღებოდ!

სააქციონერო საზოგადოება „კამაზი" და მსოფლიოში სადიზელო ძრავების უდიდესი მწარმოებელი ამერიკული ფირმა „კამინსი" ერთობლივ საწარმოში უშვებენ 265-325 ცხენის ძალის სიმძლავრის სადიზელო ძრავებს, რომლებიც გამოიყენება „კამაზის" მარკის სატვირთო ავტომანქანებში, სასოფლო-სამეურნეო და საგზაო მანქანებზე, სტაციონარულ და სხვა დანიშნულების დანადგარებზე.

ამა წლის 28-30 აგვისტოს მოსკოვში სახალხო მეურნეობის გამოფენაზე ეწყობა საერთაშორისო ავტოგამოფენა, სადაც დემონსტრირებული იქნება როგორც აღნიშნული ძრავებით დაკომპლექტებული „კამაზის" მარკის ავტომანქანები, ასევე ცალკე ძრავები.

ამ ძრავებით დაკომპლექტებული „კამაზის" მარკის ავტომანქანები და ცალკე ძრავები გაიყიდება შეუზღუდავად, როგორც მანეთებში, ისე თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტაზე.

უახლესი ამერიკული ტექნოლოგიით დამზადებული „კამინსის" მარკის ძრავების გაყიდვა, სათადარიგო ნაწილებით და იარაღებით მათი უზრუნველყოფა, კადრების სწავლება, ტექნოლოგიური მომსახურება და რემონტი იწარმოებს კამაზის" საქართველოს რესპუბლიკური ავტოცენტრის მეშვეობით, აგრეთვე თუ გსურთ „შეიძინოთ სამორიგეო ავტობუსები:

„ნზას—49511" (დამზადებული „ურალ-4320" ბაზაზე)
„ნზას-4208 (დამზადებული კამაზ-43101" ბაზაზე)
„ნზას-4951" (დამზადებული „ურალ-375" ბაზაზე)
„ნზას-3964" (დამზადებული „გაზ-66" ბაზაზე და ავტოცისტერნა)
„ნზას-56041" (დამზადებული „კამაზ-5410" ბაზაზე — ტევადობა 8 კუბური მეტრი).

გეწვიეთ საქართველოს რესპუბლიკურ ავტოცენტრ „კამაზში"

მისამართი: ქ. თბილისი, ზემო ალექსეევკის დასახლება, „კამაზის" საქართველოს რესპუბლიკური ავტოცენტრი"
ტელეფონი: 41-12-19

საგურამოს რესპუბლიკური სანატორიული სკოლა-ინტერნატი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1992-93 სასწავლო წლისათვის.

სანატორიულ სკოლა-ინტერნატში მიიღებიან სასუნთქი ორგანოების არასპეციფიკური ქრონიკული სნეულებით დაავადებული 6-16 წლის I-XI კლასების ორივე სქესის ბავშვები.

სკოლა-ინტერნატში სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებთან ერთად, აღსაზრდელები მიიღებენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ განათლებას.

სანატორიულ სკოლა-ინტერნატში ბავშვები იმყოფებიან არასრულ სახელმწიფო კმაყოფაზე. სკოლაში ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. მოსწავლის პირადი საქმე. 2. სამედიცინო ფორმა (№ 27 და 26).

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: განათლების სამინისტროს ინტერნატული დაწესებულებებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილებას. ტელ.: 95-99-81.

მცხეთის რაიონი, სოფელი საგურამო, სანატორიული სკოლა-ინტერნატის დირექცია.
ტელ.: 2-85.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის

განცხადება

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თბილისის ორგანიზაციის უკლებლივ ყველა წევრი, კანდიდატი და მოკავშირე, ყოველ მიზეზგარეშე გამოცხადდეს პარტიის შტაბბინაში, ორშაბათს 31 აგვისტოს დღის 12 საათზე.

შეკრებაზე დასწრება სავალდებულოა აგრეთვე პარტიის მიერ თბილისში კენჭის საყრელად წარმოდგენილი ყველა დეპუტატობის კანდიდატისა და თბილისის საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის ჩვენი პარტიისაგან.

საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტიის

განცხადება

ამა წლის 1 სექტემბერს, სამშაბათს, 12 საათზე გაიმართება პარტიის დარბაზის გაფართოებული სხდომა. დარბაზის წევრთა და პარტიული სიით წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

სხდომა გაიმართება თბილისში, მ. კოსტავას 47, საზოგადოება „ცოდნის" მცირე დარბაზში.

მთავარი რედაქტორი **ზურამ გოგიაშვილი.**

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს. თბილისი. ხოშარაულის 24.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია

XIX

ინდექსი 00184